პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

23 აპრილი სამშაბათი 1974 წელი 2. კაკ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 95 (15916)

ლენინის საქმე ცოცხლობს და იმარჯვებს!

ლენინის დროშით, პარტიის ხელმძღვანელობით

ვ. ი. ლენინის დაბადების 104 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომები

მოსკოვი. 22 აპრილი. ვ. ი. ლენინის დაბადების 104 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა კრემლის ყრილობათა სახახლეში. ხურათზე: საზეიმო სხდომის პრეზიდიუმში.
ხაკდსსს ფოტო (მიღებულია საინფორმის ფოტოტელეგრაფით).

მოსკოვში

საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა ფართოდ აღნიშნავენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის, მარქსიზმის გენიალური თეორეტიკოსის, საერთაშორისო შუშათა კლასის დიდი ბელადის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა მასწავლებლისა და მეგობრის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 104 წლისთავს.

ღირსშესანიშნავ თარიღს მიეძღვნა საზეიმო სხდომა, რომელიც 22 აპრილს გაიმართა მოსკოვში.

კრემლის ყრილობათა სასახლეში შეიკრიბნენ დედაქალაქისა და მოსკოვის ოლქის წარმოების მოწინავენი, პარტიის ვეტერანები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, საბჭოთა არმიისა და ფლოტის მეომრები, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელნი.

მოწვეული არიან სრულიად საკავშირო ალკკ XVII ყრილობის დელეგატები, ესსრეთიან უცხოელი სტუმრები, დიპლომატები, საბჭოთა და საზღვარგარეთელი ჟურნალისტები.

17 საათი. სხდომის მონაწილენი მქუხარე ტაშით ეგებებიან მახანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, ი. ვ. ანდროპოვს, ა. ა. გრეჩკოს, ვ. ვ. გრიშინს, ა. ა. გრომიკოს, ა. პ. კირილენკოს, ა. ნ. კოსიგინს, თ. დ. კულაკოვს, კ. ტ. მაზუროვს, ა. ი. ბელშეს, ნ. ვ. პოდგორნის, დ. ს. პოლიანსკის, მ. ა. სუსლოვს, ა. ნ. შელეპინს, პ. ნ. დემიჩევს, ბ. ნ. პონომარიოვს, ვ. ვ. რომანოვს, ფ. ს. სოლომენცევს, დ. თ. უსტინოვს, ვ. ი. დოლგიხს, ი. ვ. კაპიტონოვს, კ. თ. კატუშევს.

აქვე არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების თავმჯდომარეები, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტისა და მოსკოვის კომიტეტის მდივნები, პარტიის ვეტერანები, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელნი, თვალსაჩინო მხედართმთავრები, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავები.

საზეიმო სხდომა გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ვ. გრიშინმა.

დარბაზში აღიერდა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი.

მოხსენება „ლენინური კურსით — კომუნიზმისაკენ“ გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბ. ნ. პონომარიოვმა.

მოხსენება დიდი ყურადღებით მოისმინეს, ხშირად გაისმოდა ტაში.

სხდომა დახურულად ცხადდება. მისი მონაწილენი ფეხზე ადგნენ მეერთან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს“.

სხდომის მონაწილეებისათვის გაიმართა დიდი სადღესასწაულო კონცერტი.

ვ. ი. ლენინის დაბადების 104 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომები გაიმართა აგრეთვე ლენინგრადში, კიევში, აშხაბადში, ტაშკენტში, ფრუნზესა და სხვა ქალაქებში. (საკდესი).

თბილისში

22 აპრილი — გენიალური მოაზროვნის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის, მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის დიდი ბელადის დაბადების დღე ღირსშესანიშნავი თარიღია მთელი პლანეტის ცხოვრებაში.

22 აპრილს თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 104 წლისთავს.

...საღამოს შვიდი საათია. დარბაზში შეიკრიბნენ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, სამრეწველო საწარმოთა შრომითი კოლექტივების წარმომადგენლები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მეომრები.

სცენის სიღრმეში მოჩანს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დიდი პორტრეტი.

საზეიმო სხდომის პრეზიდიუმში იუვნენ პ. გ. გელაშვილი, ა. ნ. ინაური, შ. დ. კიკნაძე, პ. ვ. შელნიკოვი, ზ. ა. პატარიძე, ვ. შ. ხარაძე, ე. ა. შევარდნაძე, ა. ნ. ჩურკინი, გ. ხ. ძოწენიძე, თ. ი. მოხაშვილი, შ. ვ. ყარყარაშვილი, ო. ე. ჩერქეზიანი, პარტიის უხუცესი წევრები, ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, წარმოების ნოვატორები, თვალსაჩინო მეცნიერები, მწერლები.

საზეიმო სხდომა გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა პ. გ. გელაშვილმა.

სიტყვა მოხსენებისათვის ვ. ი. ლენინის დაბადების 104 წლისთავის შესახებ აღძრავა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ო. ე. ჩერქეზიას.

შეკრებილებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მარქსიზმ-ლენინიზმის უძლეველი დროშით საბჭოთა ხალხის მიერ განვლილი გზის შესახებ.

მომხსენებელმა თქვა, რომ ლენინის ანდერძის ერთგული საბჭოთა საქართველოს მშრომელები ვ. ი. ლენინის დაბადების 104 წლისთავს აღნიშნავენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელმწიფოს გარშემო შემდგომი შეკავშირების, სკკპ XXIV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის თავდადებული ბრძოლის ვითარებაში. პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი ცენტრალური კომიტეტის მიმართვის პასუხად, რესპუბლიკის მშრომელებმა ფართოდ გაშალეს შეჯიბრება მეცხრე ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლის გეგმის შესრულებისათვის.

შეკრებილთა ტაშის გრიალში მომხსენებელმა დღეგრძელობა უსურვა ლენინის მიერ შექმნილ და გამოწრთობილ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — მუშათა კლასსა და ყველა მშრომელს მებრძოლ ავანგარდს, საბჭოთა ხალხის ორგანიზატორსა და ბელადს კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

საზეიმო სხდომა დახურულად ცხადდება.

სხდომის მონაწილეთათვის გაიმართა დიდი კონცერტი.

(საინფორმი).

სრულიად საკავშირო ალკკ XVII ყრილობის

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მიესალმება სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის XVII ყრილობის დელეგატებს, მთელ კომკავშირს — ახალგაზრდა ლენინელთა ოცდათოთხმეტმილიონიან არმიას.

ორმოცდაათი წელი სრულდება იმ ისტორიული მომენტიდან, როდესაც რუსეთის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის მე-6 ყრილობამ გამოაცხადა, რომ კომკავშირი უდიდესი სიამაყითა და პასუხისმგებლობით იღებს ლენინის სახელს და წმიდად შეასრულებს ლენინის უკვდავ ანდერძს. სკკპ ცენტრალური კომიტეტი დიდი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე, ყოველთვის და ყველგან, შრომასა და მხედრულ ხაკმეში, კაცობრიობის მიერ შემუშავებული ცოდნის მწვერვალების დაპყრობაში, მთელი თავისი ნაყოფიერი საქმიანობით კომკავშირმა დაამტკიცა დიდი ლენინის ანდერძისადმი, კომუნიზმის იდეალებისადმი ურყევი ერთგულება.

საბჭოთა ახალგაზრდობა დიდ ძალას წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური განვითარების იმ დიდებული პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში, რომელიც სკკპ XXIV ყრილობამ დასახა. საბჭოთის ქალიშვილები და ჭაბუკები ახალი შესანიშნავი საქმეებით უპასუხებენ პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას, იჩენენ შემოქმედებით ინიციატივას და გაბედულ თაოსნობას, უჩვენებენ მაღალნაყოფიერი მუშაობის ნიმუშებს. სამშობლო დიდად აფასებს ახალგაზრდა თაობის თავდადებულ, შთაგონებულ შრომას. მეცხრე ხუთწლედის ახალგაზრდა დამკვრელთა დიდი ჯგუფი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით, ხოლო ნაუკეთესთა შორის ნაუკეთესოებს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

თანამედროვე პერიოდში კომკავშირისა და ახალგაზრდობისათვის არ არის რა იმაზე უფრო მნიშვნელოვანი და პასუხსაგები ამოცანა, ვიდრე ის, რომ აქტიურად მონაწილეობდეს 1974 წლის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის, ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის გაშლილ საყოველთაო სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში. პარტია მოუწოდებს ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობას კიდევ უფრო მტკიცედ იბრძოლოს შრომის ნაყოფიერების ზრდის დაჩქარებისა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციისა და ინდუსტრიალიზაციისათვის.

ახალგაზრდობის უმრეტი ენერგიისა და ენთუზიაზმის გამოყენებისათვის, მისი გმირული მიღწევებისათვის ფართო ხარბიელს ქმნიან პარტიის მიერ დასახული ისეთი დიდებული ამოცანები, როგორიცაა რუსეთის სფსრ არაშავმიწანიადაგიანი ზოლის სოფლის მეურნეობის აღმავლობა, ბაიკალ-ამურის რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობა და სხვა მნიშვნელოვანი მშენებლობები.

ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისათვის კომკავშირის მუშაობის საიმედო კომპასი იყო და კვლავ იქნება ლენინის განაწესი ისწავლონ კომუნიზმი, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში იგი კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. კომკავშირმა სრულად უნდა გამოიყენოს სოციალიზმის მზარდი შესაძლებლობანი ახალგაზრდა თაობის ყოველმხრივი განვითარებისათვის, სწავლა და აღზრდა შეუხამოს კომუნისტურ მშენებლობაში ახალგაზრდობის პრაქტიკულ მონაწილეობას. კომკავშირის მუდმივი ზრუნვის საგანი უნდა იყოს ქალიშვილებისა და ჭაბუკების შრომითი აღზრდა, მათთვის შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ჩამოყალიბება, იმ მოთხოვნილების ჩანერგვა, რომ სისტემატურად აამაღლონ განათლება, კულტურული და პროფესიული დონე, დაეუფლონ უახლეს მეცნიერულ და ტექნიკურ ცოდნას.

კომუნისტური მშენებლობის გაზრდილი მასშტაბი, ახალი ადამიანის აღზრდისა და თანამედროვე ეტაპზე იდეოლოგიური ბრძოლის ამოცანები დაბეჯითებით მოითხოვენ კომკავშირის იდეურ-პოლიტიკური მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას. მთავარია უზრუნველყოთ, რომ სრულიად საკავშირო ალკკ წევრებმა, ყველა ქალიშვილმა და ჭაბუკმა ღრმად შეისწავლონ მარქსისტულ-ლენინური თეორია, ჩავუნერგოთ მათ კომუნისტური სიმტკიცე, კლასობრივი თვითშეგნება, ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი შეურიგებლობა, აღვზარდოთ ისინი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციებისადმი ერთგულების სულისკვეთებით. საჭიროა, რომ მარქსისტულ-ლენინურმა განათლებამ ხელი შეუწყოს ახალგაზრდა თაობის შრომითი და საზოგადოებრივი აქტივობის ამაღლებას, საზოგადოებრივი განვითარების კანონების ღრმა გაგებას.

კომკავშირის ამოცანაა მიაღწიოს, რომ კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის მოთხოვნები გახდეს თვითეული ახალგაზრდის ყოველდღიური ქცევის ნორმები. კომკავშირელი მოწოდებულია გვიჩვენებდეს მაღალი ზნეობის მაგალითს, მტკიცედ იცავდეს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს, შეურიგებლად იბრძოდეს კომუნისტური მორალის ნორმების დარღვევის წინააღმდეგ. კომკავშირული ორგანიზაციები კვლავაც მიზანდასახულად უნდა უნერგავდნენ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს კოლექტივიზმსა და ზრუნვას ამხანაგებისათვის, დისციპლინას, პატიოსნებასა და წესიერებას, თავდაბლობასა და პატივისცემას უფროსებისადმი.

კომკავშირს დიდმნიშვნელოვანი როლი ეკისრება ახალგაზრდობის სულიერი და ფიზიკური ძალების ჰარმონიული განვითარების, მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის ფართოდ გაშლის, შრომისა და თავდაცვისათვის მისი მომზადების ამოცანების გადაწყვეტაში. კვლავაც ყოველნაირად უნდა განამტკიცოთ საშეფო კავშირურთიერთობა საბჭოთა არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტთან, სრულყოთ სამხედრო-პატრიოტული მუშაობა.

კომკავშირისათვის ლენინის წმიდათა წმიდა ანდერძია აღზარდოს ქალიშვილები და ჭაბუკები საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობის, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. კიდევ უფრო აქტიურად უნდა განვითაროთ საბჭოთა ახალგაზრდობის ძმური თანამშრომლობა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ახალგაზრდა თაობასთან, სოლიდარობა პლანეტის პროგრესულ ახალგაზრდობასთან, ყველასთან, ვინც მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის იდეალებისათვის იბრძვის.

პარტიამ კომკავშირს მისცა პასუხსაგები დავალება — იყოს სრულიად საკავშირო ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის კოლექტიური ხელმძღვანელი. ეს ავალებს კომკავშირს ჩაუნერგოს ნორჩ ლენინელებს პარტიისა და კომუნისტური იდეალების საქმისადმი ერთგულება, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მხურვალე სიყვარული, შრომის პატივისცემა, ცოდნის წყურვილი და მისწრაფება მონაწილეობდეს საზოგადოებრივად სასარგებლო საქმეებში. თვითეული პიონერული რაზმი უნდა ცხოვრობდეს მჩქეფარე, წარმატებული ცხოვრებით, მასწავლებლებთან ერთად უნერგავდეს ნორჩ ლენინელებს ქცევის მაღალ კულტურას, უვითარებდეს თვითმოქმედებას, იყოს საბჭოთა მოქალაქეობრივობის აღზრდის სკოლა.

სრულიად საკავშირო ალკკ წინაშე მდგომი ამოცანები მოითხოვენ მთელი შინაკომკავშირული მუშაობის გაძლიერებას, პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების, კომკავშირული ჯგუფების შემდგომ განმტკიცებას, კომკავშირელების აქტივობის, ინიციატივისა და შეგნებული დისციპლინის განვითარებას. კომკავშირი დღენიადაგ უნდა ხელმძღვანელობდეს პარტიისაგან მიღწეულის კრიტიკულ შეფასებას, თავს არ უნდა იმშვიდებდეს წარმატებებით, დროზე აღმოაჩინოს და აღმოფხვრას ნაკლოვანებანი მუშაობაში. კომკავშირელი აქტივისტები მოწოდებულნი არიან ბეჯითად ეუფლებოდნენ მუშაობის ლენინურ სტილს, ისინი უნდა გამოირჩეოდნენ მიზანსწრაფვით, პრინციპულობით, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით, სიტყვისა და საქმის ერთიანობით.

ლენინის ტრადიციების ერთგული პარტია კვლავაც დაუცხრომლად იზრუნებს ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის დარგში კომკავშირის მუშაობის დონის შემდგომი ამაღლებისათვის, იმისათვის, რომ იგი კიდევ უფრო აქტიურად მონაწილეობდეს სამეურნეო, კულტურულ და სახელმწიფო მშენებლობაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის ახალგაზრდა გვარდია, ახალგაზრდა მეცნიერები, სპეციალისტები, მომსახურების სფეროს მუშაკები, სტუდენტები და მოსწავლეები, ტექნიკუმებისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეები, შეიარაღებული ძალების მეომრები — ყველა კომკავშირელი, ყველა სამეფო ქალიშვილი და ჭაბუკი ახალ სახელოვან ფურცლებს ჩაწერს კომუნიზმისათვის საბჭოთა ხალხის ბრძოლის ისტორიაში, კვლავაც იქნება ერთგული ფიცისა „ვიცხოვროთ, ვიმუშაოთ და ვისწავლოთ ლენინურად!“.

გაუმარჯოს სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინურ კომუნისტურ კავშირს — პარტიის მებრძოლ თანაშემწესა და საიმედო რეზერვს!

გაუმარჯოს შესანიშნავ საბჭოთა ახალგაზრდობას!

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

ლ. ი. ბრეჟნევისა და ე. კენედის საუბარი

22 აპრილს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა კრემლში მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიული პარტიის თვალსაჩინო მოღვაწე სენატორი ედვარდ კენედი.

გაიმართა საუბარი, რომლის დროს შეეხნენ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის მრავალ საკითხს, აგრეთვე მთელ რიგ საერთაშორისო პრობლემებს.

დადასტურდა, რომ მხარეებს ერთნაირი აზრი აქვთ იმის შესახებ, რომ სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესების დაწყებული პროცესი შეესაბამება ორივე ქვეყნის ხალხთა ინტერესებსა და მისწრაფებებს და არსებითი წვლილია საერთაშორისო დაძაბულობის საერთო შენელების საქმეში.

ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის კვლავაც ყინ წაიწიოს ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის გაფართოებისა და გაღრმავების გზაზე თანასწორობის, ურთიერთსარგებლობისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის საფუძველზე.

ე. კენედიმ თავის მხრივ აგრეთვე მხარი დაუჭირა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სსრ კავშირს შორის მშვიდობიანი ურთიერთობისა და საქმიანი თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას, კერძოდ, ახალ ღონისძიებებს გამაღლებული შეიარაღების შეკავებისა და განიარაღების დარგში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება

მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის 1974 წლის ლენინური პრემიების მინიჭების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, რომლებმაც განიხილეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის წარდგინება, აღგენენ მიენიჭოს 1974 წლის ლენინური პრემიები:

1. კელდიშს ლეონიდ ბორისის-ძეს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პ. ნ. ლებედევის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის სექტორის გამგეს, — ნახევარგამტართა ფიზიკის დარგში თეორიულ ნაშრომთა ციკლისათვის (გვირაბული ეფექტი, ნახევარგამტარები ძლიერ ელექტრულ ველებში, მრავალფოტონიანი პროცესები მყარ სხეულში).

2. ალფეროვი ჟორეს ივანეს-ძეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, თეორიული და ექსპერიმენტული ფიზიკის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგეს; **კრუჩინაკს** პეტრე ალექსანდრეს-ძეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, იმავე ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს; **ლობაშოვს** ვლადიმერ მიხეილის-ძეს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის სექტორის გამგეს, — ნახევარგამტართა ფიზიკის დარგში თეორიულ ნაშრომთა ციკლისათვის (გვირაბული ეფექტი, ნახევარგამტარები ძლიერ ელექტრულ ველებში).

3. კირსანოვს ალექსანდრე ვასილის-ძეს, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ორგანული ქიმიის ინსტიტუტის დირექტორს, — ფოსფორ და გოგირდშემცველ შენაერთებში ენერგეტიკული ინტენსიფიკაციისა და რეაქციების კვლევისათვის.

4. ბელოვს. ნიკოლოზ ვასილის-ძეს, აკადემიკოსს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კრისტალოგრაფიის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგეს, — სტრუქტურულ მინერალოგიაში ნაშრომთა ციკლისათვის.

5. ოპარინს ალექსანდრე თეოფილეს-ძეს, აკადემიკოსს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ა. ნ. ბახის სახელობის ბიოქიმიის ინსტიტუტის დირექტორს, — სიცოცხლის წარმოშობის მატერიალისტური თეორიის დარგში ნაშრომთა ციკლისათვის.

6. მინცს ისაკ ოზრაილის-ძეს, აკადემიკოსს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის განყოფილების სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს, — მეცნიერული შრომისათვის „დიდი ოქტომბრის ისტორიაზე“, სამ ტომად.

7. ტიმოკოვს ვლადიმერ დიმიტრის-ძეს, აკადემიკოსს, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნ. ნ. ბურდენკოს სახელობის ეპიდემიოლოგიისა და მიკრობიოლოგიის ინსტიტუტის განყოფილების გამგეს; **კაგანს** გიტა იაკობის ასულს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, იმავე ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგეს, — ინფექციურ პათოლოგიაში ლ-ფორმების ბაქტერიებისა და მიკოპლაზმების ოჯახის როლის გამოკვლევათა ციკლისათვის.

8. ნესტეროვს ანატოლი ინოკენტის-ძეს, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, ნ. ი. პიროგოვის სახელობის მე-2 საკავშირო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგეს; **ტარე

ლენინური კურსით — კომუნიზმისაკენ

ამხანაგ ბ. ნ. პონომარიოვის მოხსენება ვ. ი. ლენინის დაბადების 104 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე მოსკოვში

ამხანაგებო!

ამ დღეებში საბჭოთა ხალხი, ასეულ მილიონობით ადამიანი მთელ მსოფლიოში აღნიშნავენ 104 წლისთავს, რაც დაიბადა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი — კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელი, თანამედროვე კომუნისტური მოძრაობის ფუძემდებელი, კაცი, რომელმაც მშრომელებისათვის გააკეთა მეტი, ვიდრე რომელიმე სხვა ადამიანმა დედამიწაზე. მთელი თავისი გენია, გონების ტიტანური ძალა, პროლეტარული რევოლუციონერის უდრეკი ნებისყოფა ლენინმა შესწირა მუშათა საქმისათვის ბრძოლას, რათა განხორციელებულიყო „კაცობრიობის საუკეთესო იდეალები" (თხზ. ტ. 4, გვ. 494).

ლენინი მუდამ ჩვენთან არის, იგი ჩვენს ფიქრებში, ბრძოლასა და მუშაობაშია. ისტორიის ყოველ შემობრუნებასთან ერთად სულ უფრო მეტად ვლინდება მისი იდეების უღრმესი აზრი და ქმედითობა, და ათწლეულიდან ათწლეულამდე ძლიერდება ლენინიზმის გავლენა.

არც ერთ რევოლუციურ მოძღვრებას არ დაუსახავს ადამიანთა საზოგადოების გარდაქმნის ასეთი გრანდიოზული პროგრამა, და არც ერთ მათგანს არ დასჭირვებია ასეთ დაბრკოლებათა გადალახვა. არც ერთ თეორიას არ გახუცდია ესოდენ გაფთრებული თავდასხმები. ლენინიზმს თავს ესხმოდნენ მონარქისტები და კადეტები, მენშევიკები და ესერები, ტროცკისტები და სხვა ოპორტუნისტები, ფაშისტები, ბურჟუაზიის ლაქიები და აპოლოგეტები. ჩვენს დროში იმპერიალიზმის უზარმაზარი იდეოლოგიური აპარატი მიმართულია ლენინიზმის თეორიისა და პრაქტიკის წინააღმდეგ, მაგრამ ლენინიზმი უძლეველია!

მისი ძალა ის არის, რომ იგი — ნამდვილად მეცნიერული თეორია, მარქსიზმის უმაღლესი ეტაპი — იძლევა საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონების ერთადერთ სწორ ახსნას და განსაზღვრავს მისი რევოლუციური გარდაქმნის გზებს. ლენინიზმის ძალა ის არის, რომ იგია ყველაზე მოწინავე კლასის — მუშათა კლასის, ყველაზე პროგრესული საზოგადოებრივი წყობილების — სოციალიზმის იდეოლოგია და პოლიტიკაც. ლენინიზმის ძალა ის არის, რომ ლენინის ფიერ ჩაფიქრებული და დაწყებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის საიმედო ხელშია.

ორი საუკუნის მიჯნაზე, ისტორიის გარდატეხის მომენტში ვ. ი. ლენინმა იპოვნა ის რგოლი, რომელიც გადამწყვეტი გახდა XX საუკუნის ყველა შემდგომ რევოლუციურ მოვლენაში. ასეთი რგოლი იყო **ახალი ტიპის პროლეტარული პარტია.** ლენინმა დაამტკიცა მისი ისტორიული აუცილებლობა და დააარსა ბოლშევიკთა პარტია. ეს იყო უდიდესი მიღწევა, საუკუნო გმირობა. სწორედ კომუნისტურმა პარტიამ მიიყვანა მუშათა კლასი, მშრომელები დიდ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე, რომელმაც კაცობრიობის საზოგადოების განვითარების მთელი მსვლელობა შემოაბრუნა სოციალიზმისა და მშვიდობისაკენ.

ლენინის სამშობლო ასრულებს დიად ინტერნაციონალურ მისიას, უდიდესი წვლილი შეაქვს მსოფლიო განმათავისუფლებელ პროცესში, იმ საშიშროებისა და უბედურებისაგან კაცობრიობის ხსნის საქმეში, რომელსაც იმპერიალიზმი წარმოშობს.

საბჭოთა ხალხმა დაიცვა სოციალიზმის მონაპოვარნი დიდ სამამულო ომში, ხერხემალი გადაუტეხა ფაშიზმს და გზა გაუხსნა ახალ რევოლუციურ აღმავლობას. შეიქმნა სოციალიზმის მსოფლიო სისტემა. სოციალისტური თანამეგობრობის ძლიერებამ და ერთიანობამ უზრუნველყო ძირეული გარდატეხა ძალთა თანაფარდობაში საერთაშორისო ასპარეზზე სოციალიზმისა და მშვიდობის სასარგებლოდ. ამის მეოხებით შესაძლებელი გახდა კოლონიური იმპერიების დაშლა; ახალმა ხალხებმა მოიშორეს უცხოეთის ბატონობის ბორკილი. სსრ კავშირის გადამწყვეტი როლით, მშვიდობის პროგრამის საფუძველზე მიღწეულია დიდი წარმატებები საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებაში, სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების დამკვიდრებაში.

ერთი სიტყვით, მოხდა ისეთი მასშტაბებისა და მნიშვნელობის ცვლილებები, როგორიც არ ახსოვს კაცობრიობის ისტორიას. და მთავარი როლი ამ საქმეში შეასრულეს კომუნისტებმა, ლენინელებმა. მთელმა მსოფლიომ დაინახა ლენინიზმის მძლავრი აღმშენებლობითი, შემოქმედებითი ძალა.

ლენინის პარტიამ, მისმა მოწაფეებმა და მიმდევრებმა მრავალგზის გაზარდეს მის მიერ დატოვებული მემკვიდრეობა! ჩვენი პარტიის საქმიანობა, უდიდესი მუშაობა, რომელსაც მისი ანდერძის შესაბამისად ახორციელებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტი, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი, მოწმობს, რომ ჩვენს დროში ლენინის მოძღვრება და მისი საქმე ახალ და ახალ ძალას იძენს.

1. ლენინის დროშით — ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობისაკენ

ამხანაგებო! წელს შესრულდა 50 წელი მას შემდეგ, რაც ჩვენგან წავიდა ვ. ი. ლენინი. და საბჭოთა ადამიანებს უფლება აქვთ გადახედონ უიმისოდ განვლილ გზას, შეაფასონ, რა გაკეთდა ამ ხნის განმავლობაში.

ვ. ი. ლენინი საბჭოების რესპუბლიკას მეთაურობდა ყველაზე ძნელ და პასუხსაგებ პერიოდში. უდიდეს, ბუმბერაზულ მუშაობას პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შესაქმნელად იგი ახამებდა ჭეშმარიტად ტიტანურ თეორიულ მოღვაწეობასთან. ლენინმა პარტიას დაუტოვა მეცნიერება ახალი საზოგადოების აშენების შესახებ, შეიმუშავა რუსეთის უაღრესად რთულ პირობებში მარქსისტული იდეალების განხორციელების ყოვლისმომცველი გეგმა.

მისი უშუალო ხელმძღვანელობით მოგიგერიეთ მსოფლიო იმპერიალიზმის შეიარაღებული შემოსევა, შეიქმნა სოციალიზმის მომავალ გამარჯვებათა მთავარი წანამძღვრები: ქვეყანაში დამკვიდრდა პროლეტარიატის დიქტატურა, განმტკიცდა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი, დაიწყო მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობა, ეკონომიკაში მბრძანებლური მწვერვალები დაიკავა წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივმა საკუთრებამ. პარტიამ გაიარა მასების ხელმძღვანელობის, რევოლუციის შემოქმედებითი ამოცანების გადაჭრის ფასდაუდებელი სკოლა ისეთ პირობებში, როცა იგი მმართველი პარტია გახდა. საფუძველი ჩაეყარა ქვეყნის საერთაშორისო პოლიტიკას და თავდაცვისუნარიანობას, რამაც უზრუნველყო სოციალისტური მშენებლობისათვის საჭირო გარე პირობები. საბჭოების ქვეყანა გადაიქცა მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ბურჯად. ამავე დროს ჩამოყალიბდა მისი ავანგარდი — თანამედროვე კომუნისტური მოძრაობა.

ასეთია მტკიცე საძირკველი, რომელსაც ლენინის დროს ჩაეყარა საფუძველი. ამ საფუძველზე პარტიამ უზრუნველყო ქვეყნის ჭეშმარიტად სწრაფი აღმავლობა.

ვლადიმერ ილიას-ძის გარდაცვალების შემდეგ მძიმე დღეებში ბურჟუაზია სწრაფ კრახს უწინასწარმეტყველებდა ბოლშევიკებს. ინგლისურმა „ტაიმსმა" კატეგორიულად განაცხადა: „...საბჭოთა ხელისუფლებამ დიდი-დიდი რამდენიმე თვეს იარსებოსო". „აღსასრული, ალბათ, რამდენიმე თვის საკითხია", — კვერს უკრავდა მას ამერიკული „ნიუ-იორკ ტაიმსი", რა უბადრუკი და სასაცილოა ახლა ეს ღვარძლიანი წინასწარმეტყველებანი!

ისტორიულად მოკლე ვადებში საბჭოეთმა განახორციელა ლენინური იდეები — ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, კულტურული რევოლუცია, ერთსულოვან ინტერნაციონალურ ოჯახად საბჭოთა ხალხების შეკავშირების იდეა. ახდა ლენინის გრანდიოზული შთანაფიქრი სსრ კავშირში სოციალიზმის აშენების შესახებ.

50 წლის განმავლობაში ეროვნული შემოსავალი თითქმის 100-ჯერ გაიზარდა. თუ 1923 წელს საბჭოთა კავშირზე მოდიოდა მთელი მსოფლიოს სამრეწველო პროდუქციის დაახლოებით ერთი პროცენტი, ახლა იგი იძლევა მას მეხუთედ ნაწილს. გოელროს გეგმით დასახული იყო 8,8 მილიარდი კილოვატ-საათი ელექტროენერგიის გამომუშავება. შარშან კი წარმოებული იყო 915 მილიარდი კილოვატსაათი. 1923 წელს მილიონობით გლეხის მეურნეობა, ისე როგორც საუკუნეების წინათ, ჯერ კიდევ კავით ამუშავებდა მიწას. ლენინი ოცნებობდა 100 ათას ტრაქტორზე, მაგრამ იმ წელს გამოუშვეს მხოლოდ ორი. ხოლო 1973 წელს მრეწველობამ ხუთასი ათასი ტრაქტორი გამოუშვა.

ბოლშევიკებს ოდესღაც ბრალად სდებდნენ, რომ მათ თითქოს მხოლოდ ნგრევა შეუძლიათ და დაღუპავენ კულტურას, ახლა სოციალიზმის მოწინააღმდეგენიც კი იძულებული არიან ილაპარაკონ, როგორც საერთო წარმატებების, ისე საბჭოთა მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების, სპორტის საოცარ მიღწევებზე. მსოფლიოს ყველა კუთხეში ადამიანები თითქმის ყოველდღიურად ტაშს უკრავენ საბჭოთა კულტურის ოსტატებს.

ვ. ი. ლენინმა წამოაყენა მომავლისაკენ მიზანმიმართული იდეა მეცნიერებისა და მუშათა კავშირის შესახებ (ტ. 37, გვ. 528, რუს.). ახლა მეცნიერებისა და შრომის მტკიცე კავშირი გახდა საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების განუყოფელი ნიშანთვისება, ჩვენი სამშობლო გაიყვანა ეროვნულ-ტექნიკური პროგრესის მოწინავე მიჯნებზე.

ძირეულად შეიცვალა ქვეყნის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა. ხახევარი საუკუნის წინათ მოსახლეობის სამ მეოთხედს ერთპიროვნული გლეხები შეადგენდნენ. დღეს მოსახლეობის 80 პროცენტზე მეტი მუშები და მოსამსახურეები არიან, ხოლო თანამედროვე კოლმეურნეები — ეს უკვე სრულიად სხვა კლასია, ვიდრე წინანდელი გლეხობა იყო. თითქმის 12-ჯერ გაიზარდა ინტელიგენციის რიცხვი. საოცრად ამაღლდა განათლების დონე. 1923 წელს სამი კაციდან ორი უწიგნური იყო, სრული საშუალო სკოლა დაამთავრა დაახლოებით 45 ათასმა კაცმა, შარშან კი — 3 მილიონ 79 ათასმა; უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სტუდენტთა რიცხვი 360 ათასიდან 9 მილიონამდე გაიზარდა.

ბევრი ასეთი მონაცემის მოყვანა შეგვიძლია. მაგრამ ყველაფერს ვერ გამოხატავ ციფრებით. მთავარია ის, რომ შეიქმნა ძლავრი სოციალისტური სახელმწიფო, პირველად იშვა ახალი, სოციალისტური ცივილიზაცია.

1922 წლის ოქტომბერში ვ. ი. ლენინი ამბობდა: „რაიმე ცვლილებათა ფანტასტიკურ სისწრაფეს ჩვენში არავინ დაიჯერებს, მაგრამ სამაგიეროდ ნამდვილი სისწრაფე, სისწრაფე, შედარებით ისტორიული განვითარების ყოველგვარ პერიოდთან, აღებულთან, ისე როგორც იგი იყო, — ასეთი სისწრაფე, თუ მოძრაობას ხელმძღვანელობს ნამდვილად რევოლუციური პარტია, ასეთი სისწრაფე ჩვენ გვწამს, ასეთ სისწრაფეს ჩვენ უცილობლად მივაღწევთ" (ტ. 33, გვ. 463-464). ასეც მოხდა. ხელმძღვანელობს რა ლენინური გეგმით, პარტია სათავეში ჩაუდგა და დარაზმა მუშათა კლასი, საბჭოთა ხალხი და მიაღწია კაპიტალიზმის პირობებში წარმოუდგენელ ტემპს, გარდაქმნათა არნახულ სისწრაფეს. და როგორც უნდა შმაგობდნენ ანტისაბჭოელები, იზრდება და ჰყვავის საერთო-სახალხო სოციალისტური სახელმწიფო, ნამდვილად დემოკრატიული, მორალურ-პოლიტიკურად შეკავშირებული, ინტერნაციონალური ძმობის ქვეყანა, რომელსაც აქვს მყარი და დინამიკური ეკონომიკა, მშრომელთა კეთილდღეობისა და კულტურის განუხრელ ზრდას რომ უზრუნველყოფს. იგი ძლევამოსილად მიდის წინ თავისი მიზნისაკენ, გზას უკვალავს სხვა ხალხებს.

მაგრამ ლენინელებს არ სჩვეოდათ დასჯერდნენ მიღწეულს. „პოლიტიკაში, — გვასწავლის ლენინი, — ისევე როგორც მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, თუ წინ არ მიდიხარ, ეს იმას ნიშნავს, რომ უკან იქნე გადასროლილი" (ტ. 10, გვ. 217-218). მას პარტიის ცხოველუნარიანობისა და უძლეველობის წყაროდ მიაჩნდა ის, რომ იგი არავითარი წარმატებების მიღწევით არ ყოყოჩობს, არ ეშინია ილაპარაკოს სიძნელეებსა და ნაკლოვანებებზე, შეუძლია მათი აღმოფხვრა.

პარტიის ეს რევოლუციური, ბოლშევიკური თვისებები მკაფიოდ გამოიხატა პერიოდში, რომლის მთავარი ნიშანსვეტები გახდა სკკპ XXIII და XXIV ყრილობები. ამ წლებში განხორციელებული დიდი ეკონომიური და პოლიტიკური ღონისძიებები და მიღწეული შედეგები ერთად მოასწავებდნენ მთელ ეტაპს კომუნიზმის გზით ქვეყნის განვითარებაში.

მრეწველობის ძირითადი საწარმოო ფონდები ათწლეულში ერთიორად და მეტად გაიზარდა. ერთი წლის განმავლობაში, რომელიც ლენინის წინა წლისთავს გვაშორებს, გამოშვებულია ერთიორად მეტი პროდუქცია, ვიდრე ათი წლის წინათ გამოდიოდა.

საბჭოთა ინდუსტრია განაგრძობს დეევგმირულ ზრდას. სამი წლის მანძილზე უკვე 1200-ზე მეტი მსხვილი საწარმო და სამრეწველო კომპლექსი ამოქმედდა. ხუთწლედის კაპიტალური დაბანდებანი თავისი მოცულობით საბჭოთა ხელისუფლების მთელი წინა წლების ნახევარი დაბანდების ტოლია. წელს შენდება საწარმოო დანიშნულების ათასობით ობიექტი, მათ შორის ისეთი გიგანტები, როგორიც არის კამის საავტომობილო ქარხანა, საიანის ჰიდროელექტროსადგური და სხვა. კაპიტალური მშენებლობის მოცულობა სსრ კავშირში ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების დონეზეა, მაშინ როდესაც 1950 წელს იგი ამ დონის მხოლოდ 30 პროცენტს შეადგენდა.

თვისებრივმა ცვლილებებმა მხოლოდ რომელიმე ერთი დარგი როდი მოიცვა — ახალ ტექნიკურ ბაზაზე გადაგვყავს მთელი სახალხო მეურნეობა. პარტია შეუნელებელ ყურადღებას უთმობს მრეწველობის მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას. პარტიის XXIV ყრილობის დირექტივების განსახორციელებლად სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ ამ საკითხებზე მიიღეს მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი დადგენილებანი, რომლებსაც პრინციპული სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვთ.

განსაკუთრებით უნდა ითქვას სოფლის მეურნეობაზე. ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტისა და მომდევნო პლენუმების, სკკპ XXIII და XXIV ყრილობების გადაწყვეტილებათა საფუძველზე უზრუნველყოფილია მისი მტკიცე განუწყვეტელი აღმავლობა. დიდად გაიზარდა საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მანქანა-ტრაქტორთა პარკის სიმძლავრე. ფართო ფრონტით გაჩაღდა ქიმიზაცია. მნიშვნელოვნად მოიმატა მარცვლოვანთა და სხვა კულტურების მოსავლიანობამ. ჩვენი ქვეყნის ისტორიაში არასდროს არ მოუცია ყანას ისეთი მოსავალი, როგორიც შარშან. ახლა საბჭოთა გლეხობა სრულად გრძნობს სოფლის სოციალისტური გარდაქმნის უპირატესობებს.

ამ ცოტა ხნის წინათ ყამირის ათვისების 20 წლისთავი აღინიშნა, ეს პარტიისა და ხალხის ჭეშმარიტად დიადი გმირობაა. ალმა-ათაში ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის შთამბეჭდავ გამოსვლაში მაღალი შეფასება მიეცა ყამირელთა შრომითს გმირობას, დაისახა ახალი დიდი ამოცანები, დიდებული პერსპექტივები აგრარული პოლიტიკის შემდგომი განხორციელებისა, რომელსაც პარტია გეგმაზომიერად, ლენინური დაკვირვებით ატარებს. საქმე ეხება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყოველმხრივ ეკონომიურ განმტკიცებას, მათს გადაყვანას თანამედროვე ინდუსტრიულ ბაზაზე, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციის უფრო სრულყოფილ ფორმებს, მის სპეციალიზაციასა და საკოლმეურნეობათაშორისო კოოპერაციას. საბოლოო ანგარიშით, ყოველივე ამას მოჰყვება თვით შრომის ხასიათის გარდაქმნა მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში, სოფლის სახის შეცვლა. ამ მიზნების მიღწევას უდიდესი ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა ექნება მთელი ჩვენი საზოგადოებისათვის.

ასეა ყველაფერში. აღებულია ერთი მიჯნა, განვლილია ერთი ეტაპი — პარტია კი უფრო დიდ ამოცანებს სახავს. უზრუნველყოფილია უწყვეტი წინსვლა ახალი მწვერვალებისაკენ. დღეს თავისი გარჯით საბჭოთა ადამიანი კომუნისტურ ხვალინდელ დღეს აახლოებს!

პარტია გაბედულად აფართოებს ეკონომიური და სოციალური დაგეგმვის ჰორიზონტებს, საფუძველს უქმნის ეკონომიკის მძლავრ განვითარებას მრავალი წლისათვის. წარმატებით მიმდინარეობს ციმბირის უკიდეგანო ნავთობისა და გაზის საბადოების ათვისება. მსოფლიო პრაქტიკაში არნახული მასშტაბით მიმდინარეობს სამელიორაციო მშენებლობა. ამჟამად შემუშავებულია არაშავნიადაგიანი ზონის აღმავლობის შესანიშნავი პროგრამა, რომელსაც ყველანი ენთუზიაზმით შეხვდნენ. ამ პროგრამის განხორციელება გახაახლებს რუსეთის უძველეს მიწებს და ცხოვრებისა და შრომის პირობებს გაუუმჯობესებს ათეულ მილიონობით ადამიანს.

3.200 კილომეტრი სიგრძის ბაიკალ-ამურის რკინიგზის მშენებლობა ახალ აურაცხელ სიმდიდრეს ჩააყენებს საბჭოთა ეკონომიკის სამსახურში.

ვ. ი. ლენინს სოციალიზმის მიზნად მიაჩნდა „საზოგადოების ყველა წევრის სრული კეთილდღეობისა და თავისუფალი ყოველმხრივი განვითარების" უზრუნველყოფა (ტ. 6, გვ. 51). პარტიას მუდამ ჰქონდა დასახული ეს მიზანი. ამჟამად ჩვენი შესაძლებლობანი ბევრად გაიზარდა. ამან სკკპ XXIV ყრილობას შესაძლებლობა მისცა ხუთწლედის მთავარ ამოცანად მიეჩნია ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლება.

პარტია უწინარეს ყოვლისა ისწრაფვის უზრუნველყოს ჩვენი ხალხი კეთილმოწყობილი ბინებით. მარტო უკანასკნელი 10 წლის მანძილზე ახალ ბინებში შესახლდა 110 მილიონი კაცი, ესე იგი მეტი, ვიდრე ერთად არის ინგლისისა და საფრანგეთის მოსახლეობა.

ყოველწლიურად მატულობს ხელფასი როგორც შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად, ისე ისეთ საკანონმდებლო ღონისძიებათა წყალობით, როგორიც არის ხელფასის მინიმალური დონის ამაღლება, საშუალოხელფასიან მუშაკთა განაკვეთებისა და სარგოების მომატება მთელ რიგ რაიონებში. მარტო ამ ღონისძიებათა მეოხებით 1971-1973 წლებში ხელფასი მოემატა 31 მილიონ კაცს, ესე იგი ყოველ მესამე მუშასა და მოსამსახურეს. 23 მილიონ კაცს გაუდიდდა შემოსავალი პენსიათა, სტიპენდიათა, დახმარებათა მომატების და სხვა ღონისძიებათა განხორციელების შედეგად. არსებითად — 14,5 პროცენტით გაიზარდა კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება. და ყოველი საბჭოთა მოქალაქე რეალურად გრძნობს: იზრდება ქვეყნის ეკონომიკა, უმჯობესდება მისი კეთილდღეობაც.

გასაგებია, როცა ოჯახში მეტი ფულია, იზრდება ადამიანის მოთხოვნილებანიც და პარტია იღვწის სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების განუხრელი ზრდისათვის.

პირველი ნაბიჯებიდანვე საბჭოთა ხელისუფლება მთელ ძალებს იქითკენ წარმართავდა, რომ ამოეძირკვა კაპიტალიზმის გადმონაშთები და დაემკვიდრებინა სოციალისტური ცხოვრების წესი, რომლის დროს მატერიალური დოვლათის გადიდება არ ნიშნავს მესაკუთრულ განწყობილებათა წახალისებას, არამედ დგება ადამიანის სულიერი ზრდის სამსახურში, ხელს უწყობს მის აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ საქმეებში.

პარტია, რა თქმა უნდა, ხედავს, რომ ჯერ კიდევ არ არის გადაჭრილი ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების ყველა პრობლემა. იგი ახორციელებს ღონისძიებებს, რომ მთლიანად შეხრულდეს ყოველივე ის, რაც XXIV ყრილობამ დასახა ამ დარგში. რასაკვირველია, ეს დამოკიდებულია თვითეული მუშაკის, თვითეული კოლექტივის შრომითს წვლილზეც. კეთილდღეობის ამაღლების აუცილებელი პირობაა კეთილსინდისიერად მოვეკიდოთ უპირველეს მოქალაქეობრივ მოვალეობას — ვიმუშაოთ მთელი ჩვენი ძალღონისა და უნარის შესაბამისად, დავიცვათ შრომის დისციპლინა.

პარტიისა და სახელმწიფოს პოლიტიკასთან მშრომელთა ინტერესების ღრმა, სისხლხორცეული ერთიანობა მკაფიო გამოხატულებას პოულობს მასობრივ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ყველას ახსოვს შესანიშნავი შრომითი აღმავლობა, რომლითაც მუშაობდა შარშან პარტიის მოწოდების პასუხად მთელი ჩვენი ქვეყანა და რომელმაც თვალსაჩინო შედეგები მოიტანა. ინიციატივისა და საწარმოო აქტივობის ზრდა — ასეთია მშრომელთა პასუხი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვაზე პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი 1974 წელს. ათასობით საწარმო მუშაობს ახლა შემხვედრი გეგმებით, რომლებიც მნიშვნელოვნად აღემატება სახელმწიფო დავალებებს.

ლენინის იუბილეს წინ ათეულ მილიონობით საბჭოთა ადამიანი გულის კარნახით კვლავ მონაწილეობდა კომუნისტურ შაბათობაში. დიდმნიშვნელოვანი და ძვირფასია თვითეული შაბათობის მატერიალური ნაყოფი, რომელიც ხალხს ხმარდება, მაგრამ კიდევ უფრო დიდმნიშვნელოვანი და ძვირფასია ნებაყოფლობითი მუშაობა საზოგადოებისათვის, სულიერი აღმავლობა, რომელიც თან სდევს შესანიშნავ საყოველთაო-სახალხო ტრადიციად გადაქცეულ ჩვენს საგაზაფხულო შრომითს დღესასწაულებს. პატივი და დიდება ყველას, ვინც დამკვრელური შრომით აღნიშნა ილიჩის დაბადების დღე!

უკანასკნელი წლები აღინიშნა საბჭოთა დემოკრატიის შემდგომი განვითარებით, რამაც გამოხატულება ჰპოვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან საკანონმდებლო აქტებში: საბჭოების მუშაობის, დეპუტატთა სტატუსის, ოჯახის, შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების, მიწისა და წყლის რესურსების შესახებ.

მაშინ როცა კაპიტალის სამყაროს კლასობრივი ბრძოლა ღრღნის, საბჭოთა საზოგადოება ცხადყოფს სულ უფრო მჭიდრო მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას, ქმნის ყველა კლასისა და სოციალური ჯგუფის მტკიცე სოციალისტურ შენადნობს. ამ ღრმა პროგრესულ პროცესთან ორგანულად შეხამებულია ეროვნების მიუხედავად ყველა საბჭოთა ადამიანის გამაერთიანებელი ძმური ურთიერთობის განმტკიცება. სსრ კავშირის განმტკიცებასა და განვითარებაში თვითეული ერისა და ეროვნების წვლილის აღიარება იყო მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქებისა და ეროვნული ოკრუგების დაჯილდოება ხალხთა მეგობრობის ორდენებით. საბჭოთა ხალხის მზარდი სოციალური და ინტერნაციონალური ერთობის შემადულებელი ძალა მუშათა კლასი იყო და არის. მხოლოდ მას, გვასწავლის ლენინი, „შეუძლია დაეხმაროს მშრომელ მასებს — გაერთიანდნენ, შეკავშირდნენ და საბოლოოდ დაიცვან, საბოლოოდ განამტკიცონ კომუნისტური საზოგადოება, საბოლოოდ ააშენონ იგი" (თხზ. ტ. 31, გვ. 350).

ეჭვი არ არის, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალი არჩევნები ხელს შეუწყობს საბჭოთა საზოგადოების კიდევ მეტ შეკავშირებას და ჩვენი ხალხის შემოქმედებითი აქტივობის ახალ აღმავლობას.

ამხანაგებო! ყველა ჩვენს მონაპოვარს უნდა ვუმადლოდეთ პარტიისა და ხალხის კეთილნაყოფიერ ერთიანობას, ლენინის პარტიის დაუცხრომელ პრაქტიკულ და თეორიულ მოღვაწეობას.

ახლა ყველგან — პარტიულ ორგანიზაციებში თავიდან ბოლომდე, მთელ საზოგადოებაში იგრძნობა კოლექტიური შემოქმედების ჯანსაღი და ერთსულოვანი ატმოსფერო. ამ ატმოსფეროს შექმნა იმ პრინციპული ხაზის შედეგია, რომელსაც პარტიის ცენტრალური კომიტეტი, პოლიტბიურო იდგანან ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით მუშაობის ლენინური პრინციპებისა და მეთოდების დამკვიდრებისა და განვითარებისათვის. საკითხების თავისუფალი და კომპეტენტური განხილვა, შინაპარტიული დემოკრატია, ამხანაგებისადმი ნდობა, მათი აზრის, გამოცდილებისა და ცოდნის პატივისცემა, გაბედულ გაარბენულ წამოწყებათა მხარდაჭერა, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაში მომთხოვნელობა, მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობა, განუხრელი წესი: „დაჰპირდი — შეხრულე" — ასეთია სტილი, რომელიც ახლა გვჭირდება და რომლის მაგალითს გვაძლევს ლენინური ცენტრალური კომიტეტი.

პარტიის ცხოვრებაში უკანასკნელ დროს დიდი მოვლენა იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის შარშანდელი დეკემბრის პლენუმი, რომელმაც ახალი იმპულსი მისცა ბრძოლას XXIV ყრილობის დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაში ყოველმხრივ და კრიტიკულად არის გაანალიზებული ხუთწლედის სამი წლის მიღწევები, გამოვლენილია უზარმაზარი რეზერვები, რომლებიც ჩვენს სახელმწიფოს აქვს, წამოყენებულია მასშტაბური წინადადებანი ქვეყნის შემდგომი განვითარების გზების შესახებ. ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დასახა პრინციპული ხასიათის ამოცანები. გათვალისწინებულია ეკონომიკის მართვის — არსებულ შესაძლებლობათა რეალიზაციაში ახლა ამ მთავარი რგოლის ორგანიზებული სტრუქტურის სრულყოფა. განვითარების თანამედროვე ეტაპის მოთხოვნათა შესაბამისად პარტია აყენებს სამეურნეო საქმიანობის უფრო ღრმა ანალიზის უზრუნველყოფის, მიღებულ გადაწყვეტილებათა ქმედითობის ამაღლების, დაგეგმვის სისტემის გაუმჯობესების, კერძოდ კაპიტალურ დაბანდებათა განაწილების საკითხს. ეს კი მოითხოვს კიდევ უფრო განმტკიცდეს პარტიული მიდგომა სამეურნეო საქმიანობისადმი, ყოველმა მუშაკმა, რა უბანზეც უნდა იყოს იგი, უკეთ შეიგროს თავისი პასუხისმგებლობა საქმის საერთო მიმდინარეობისათვის.

პლენუმმა კვლავ გვიჩვენა პარტიის დიდი უნარი სწორად აფასებდეს წარმატებებს, გულახდილად აღნიშნავდეს ნაკლოვანებებს, სახადეს მათი დაძლევის სწორ საშუალებებს, შემოქმედებითად წყვეტდეს რთულ ამოცანებს ახალ პირობებში.

პარტიის ხელმძღვანელი როლი განუხრელად ძლიერდება. 50 წლის მანძილზე მისი რიგები 400 ათასიდან 15 მილიონამდე გაიზარდა. დიდად ამაღლდა მისი ავტორიტეტი მასებში, გაიზარდა პარტიისადმი ნდობა. ეს ჩვენი უძვირფასესი მონაპოვარია კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

კომუნისტთა საწარმოო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის აღმავლობის, დისციპლინის განმტკიცების, მუშაობის გაუმჯობესების დიდმნიშვნელოვანი სტიმულია პარტიული დოკუმენტების გამოცვლა. 12 მილიონმა კომუნისტმა უკვე მიიღო პარტიული ბილეთები, რომლებზეც აღბეჭდილია ყველა ჩვენგანისათვის ძვირფასი ილიჩის სახე. პარტიული ბილეთების გამოცვლა იმის მომთხოვნი შემოწმებაა, თუ როგორ ასრულებენ პარტიის წევრები თავიანთ მოწინავე როლს.

წლის დამდეგს ახლახან გამართულმა საანგარიშო-საარჩევნო პარტიულმა კონფერენციებმა შეაჯამეს XXIV ყრილობის შემდეგ შესრულებული მუშაობის შედეგები, განაზოგადეს შეძენილი გამოცდილება. მათი ყურადღების ცენტრში იყო პარტორგანიზაციათა როლისა და თანამედროვე ეტაპზე პარტიის პოლიტიკის განხორციელებისათვის, 1974 წლის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის მათი პასუხისმგებლობის ამაღლების საკითხები, რასაც განმსაზღვრელი მნიშვნელობა ექნება მთლიანად ხუთწლედისათვის. კონფერენციებმა კვლავ მთელი ძალით ცხადყვეს პარტიის სიმტკიცე, კომუნისტთა შეკავშირება თავიანთი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

ქვეყნის წინაშე მდგომი ყველა ამოცანის გადაწყვეტაში ბევრი რამ დამოკიდებული იქნება იდეურ-აღმზრდელობითს მუშაობაზე. კომუნისტური საზოგადოების შეგნებულ მშრომელთა ჩამოყალიბება უაღრესად დიდი მნიშვნელობის ამოცანაა. საქმე ეხება მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ყოვლისმომცველ გავლენას, უფართოესი მასების იდეურობისა

(გაგრძელება მე-3 გვერდზე).

ლენინური კურსით — კომუნიზმისაკენ

(გაგრძელება)

ეს პოლიტიკური სიმწიფის საერთო დონის ახალ აღმავლობას, კომუნისტური იდეების ორგანულ კავშირს ყოველდღიურ საქმეებთან თვითეული ადამიანის ცხოვრებაში. ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა: „უფრო ახლოს ცხოვრებასთან. მეტი ყურადღება იმას, თუ მუშათა და გლეხთა მასა **ნამდვილად** როგორ აშენებს რაღაც **ახალს თავის** ყოველდღიურ მუშაობაში, მეტი **შემოწმება** იმისა, თუ რამდენად **კომუნისტურია** ეს ახალი“ (ტომი 28, გვ. 103). ორი სისტემის გამწვავებული იდეური ბრძოლის პირობებში საჭიროა მზარდი მეცადინეობა ანტიკომუნიზმისა და ანტისაბჭოურობის წინააღმდეგ, ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ყველა ეს უდიდესი ამოცანა ჩვენს წინაშე დიდხანს იდგება და მათი გადაჭრა შეიძლება და უნდა გადავჭრათ კიდეც ყველა პარტიული ორგანიზაციის ძალებით.

მთლიანად პერიოდს, რომელიც აღინიშნა პარტიისა და ხალხის ბრძოლით სკკპ XXIII და XXIV ყრილობების გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, ახასიათებს ღრმა, თვისებრივი ძვრები ქვეყნის განვითარებაში. ამ წლების მანძილზე რეალურ ცხოვრებაში ნათლად გამოვლინდა მომწიფებული სოციალისტური საზოგადოების ძირითადი თვისებები. პარტია, წყვეტს რა ამოცანებს, რომლებიც ჯერ არავის არ გადაუწყვეტია, გაბედულად აღმოფხვრის ნაკლოვანებებს, თანდათანობით, მტკიცედ და საქმის ცოდნით მიუძღოდა ხალხს კაცობრიობის ისტორიაში პირველი კომუნისტური საზოგადოების შექმნის გაუკვალავი გზებით. იგი ახორციელებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამით განსაზღვრულ პრინციპულ კლასობრივ კურსს, ლენინურად უკავშირებს დღევანდელი დღის პრობლემებს საბოლოო მიზნებს. პარტია დღენიადაგ ავითარებს ლენინურ მეცნიერებას კომუნიზმის შესახებ თანამედროვე პირობების შესაბამისად.

ამ პერიოდში წარმოებული უდიდესი მუშაობის შედეგებს ვხედავთ უკვე დღეს. ხვალინდელი დღის ადამიანებს ისინი მუდამ მოაგონებენ 60-70-იანი წლების ლენინელთა თაობის გმირობას.

გონების თვალს ვავლებთ რა ამ უკანასკნელ წლებში გაკეთებულს, შეგვიძლია ვთქვათ: ჩვენ არასოდეს არ გვქონია ესოდენ უდიდესი შესაძლებლობანი. პარტიას ჯერ არასოდეს არ შეეძლო პრაქტიკული მოქმედების გეგმაში დაეყენებინა ესოდენ დიდი ამოცანები. ქვეყნის მტკიცე ნაბიჯი, მის თვალუწვდენ სივრცეებზე ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით გაშლილ სამუშაოთა გაქანება ნათლად გვიჩვენებს, რომ ეს ამოცანები შეიძლება შესრულდეს და შესრულდება კიდეც.

II. მეშვიდეგისათვის, სოციალური პროგრესისათვის ისტორიული ბრძოლის პანგარდში

ამხანაგებო! ჩვენი ქვეყნის ბედს ვ. ი. ლენინი განუყრელად უკავშირებდა მთლიანად რევოლუციურ მოძრაობას, მთელი კაცობრიობის პერსპექტივებს. მას შეეძლო თვით ჩინასახშივე მთელი ეპოქით ადრე განეჭვრიტა მსოფლიო განვითარების ძირეული ტენდენციები. ლენინის ეს თვისება კარგად გამოხატა შესანიშნავმა საბჭოთა პოეტმა: „გადაავლებდა თვალს დედამიწას, და მყობადს ჭვრეტდა დროის ბურუსში“.

ლენინმა იმპერიალიზმი დაახასიათა როგორც სოციალისტური რევოლუციის წინა დღე, და ცხოვრებამ დაადასტურა ეს რეალური პრაქტიკით რუსეთში, შემდეგ კი სხვა ქვეყნებშიც.

ლენინმა გამოთქვა რწმენა, რომ პროლეტარიატის დიქტატურა ნაციონალური ძალიდან გადაიქცევა ინტერნაციონალურ ძალად, რომელსაც შეუძლია გადამწყვეტი გავლენა მოახდინოს მთელ მსოფლიო პოლიტიკაზე. და ესეც სინამდვილედ იქცა. მსოფლიო სოციალისტური სისტემა ადამიანთა საზოგადოების განვითარების გადამწყვეტი ფაქტორი ხდება.

ლენინმა გამოაცხადა: საბჭოთა ხელისუფლება სულ უფრო მეტ გავლენას შოახდენს საერთაშორისო რევოლუციაზე თავისი სამეფრნეო პოლიტიკით. ახლა უკვე არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ გამარჯვებული სოციალიზმის სხვა ქვეყნების გამოცდილებაც ადასტურებს ლენინის ამ წინასწარმეტყველებას.

ლენინი ამბობდა: ჩაგრული ხალხები „აღდგებიან, როგორც დამოუკიდებელი მონაწილენი, როგორც შემოქმედნი ახალი ცხოვრებისა“ (ტ. 30, გვ. 176). განთავისუფლებული ქვეყნების ასეულ მილიონობით ადამიანთა ცოცხალი პრაქტიკა ნათლად ცხადყოფს ამ წინასწარმეტყველურ სიტყვების სისწორესაც.

ლენინი წინასწარმეტყველებდა, რომ გარდაუვალია „მთელი მსოფლიო კაპიტალიზმის კრიზისის“ ზრდა (ტ. 33, გვ. 590). კაპიტალიზმის შემდგომმა ისტორიამ მთელი სიცხადით გვიჩვენა ეს.

ზუსტად დადასტურდა ლენინის პროგნოზი განვითარების ორი საპირისპირო ხაზის შესახებ ეპოქაში, რომელსაც დასაბამი მისცა ოქტომბერმა: ერთი მხრივ — მსოფლიო სოციალიზმის ზრდა და განმტკიცება, მთელი რევოლუციური პროცესის წინსვლა, მეორე მხრივ, — მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის დაქვეითება და გახრწნა.

ახლა ყველა ხედავს განსაცვიფრებელ კონტრასტს სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების წარმატებულ, მტკიცე განვითარებასა და იმას შორის, რაც კაპიტალის სამყაროში ხდება. სიტყვა „კრიზისი“ არ ჩამოდის დასავლეთის პრესის ფურცლებიდან. მსჯელობენ მის „მოულოდნელობაზე“. მაგრამ არავითარი მოულოდნელობა არ არის აქ. ორგანული მანკიერება, რომელიც წარმოშობს კაპიტალისტური წყობილების კრიზისებს, დიდი ხანია გამოავლინეს მარქსმა, ენგელსმა, ლენინმა. ჩვენი პარტია, სხვა ქვეყნების კომუნისტები, კომპარტიათა 1969 წლის თათბირი აღნიშნავდნენ, რომ გარდაუვალია კაპიტალისტური სისტემის ახალი შერყევები. თითქმის ყოველი დღე ადასტურებს ამ შეფასებებსა და დასკვნებს.

კრიზისულმა მოვლენებმა ლახვარი ჩასცეს ერთდროულად იმპერიალიზმის ბევრ ძირითად ცენტრს. ერთმანეთში გადახლართული მისი დასუსტების ეკონომიური და პოლიტიკური, საშინაო და საერთაშორისო ფაქტორები.

კაპიტალისტურ სახელმწიფოებში ვხედავთ მშვიდობიანი დროისათვის უმაგალითო ინფლაციას, ცხოვრების დაუოკებელ გაძვირებას, მეორე მხრივ კი — მონოპოლიათა მოგების კოლოსალურ ზრდას. ამ ბოლო ორი წლის მანძილზე მარტო სურსათ-სანოვაგე საფრანგეთში გაძვირდა 21 პროცენტით, იტალიაში — 22, ამერიკის შეერთებულ შტატებში — 31, ინგლისში — 33, იაპონიაში — 36 პროცენტით. ამავე დროს იზრდება უმუშევრობა, ზოგიერთ ქვეყანაში დაიწყო წარმოების დაქვეითება. კვლავ მწვავდება წინააღმდეგობანი ამერიკის შეერთებულ შტატებს, დასავლეთ ევროპას, იაპონიას შორის, კაპიტალიზმის საგალუტო სისტემა ღრმა კრიზისს განიცდის, უფრო გაფფორებული ხდება სავაჭრო კონფრონტაცია. დაიწყო დიდი ხნის მომწიფებული ენერგეტიკული კრიზისი, რომელმაც მკვეთრად გაიღრმავა ანტაგონიზმი იმპერიალიზმისა და „მესამე სამყაროს“ ქვეყნებს შორის. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აბჟამად მიმდინარე სესიაზე მათ გადაჭრით განაცხადეს, რომ საბოლოოდ ჩაბარდა წარსულს ის ხანა, როცა მონოპოლიები არაფერს არ უწევდნენ ანგარიშს და ძარცვავდნენ მათს რესურსებს.

თუ მივმართავთ პოლიტიკურ ვითარებას, დავინახავთ კაპიტალისტურ ქვეყნებში ხელისუფლების პრესტიჟის დაცემას. იგი სულ უფრო ხშირად ავლენს იმას, რომ უნარი არ შესწევს თავი გაართვას წამოჭრილ პრობლემებს. ეს იწვევს არსებული წყობილების დისკრედიტაციას, მთავრობათა განუწყვეტელ კრიზისებს. მშრომელი მასებისათვის სულ უფრო ნათელი ხდება ექსპლოატაციისა და ბურჟუაზიული ხელისუფლების განუყრელი კავშირი.

მძლავრად ჩაღდება კლასობრივი ბრძოლები, თანაც, როგორც კომუნისტები წინასწარმეტყველებდნენ, საგაფიცავო მოძრაობას სულ უფრო ენიჭება სახელმწიფო-მონოპოლიური სისტემის მთავრობათა პოლიტიკის წინააღმდეგ უშუალო ბრძოლის ხასიათი. მუშათა მოძრაობის საერთო-ეროვნული აღმავლობა ინგლისში, რომელმაც დაამხო კონსერვატორთა მთავრობა, უმაგალითო გაფიცვები გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, დიდი კლასობრივი ბრძოლები და მემარცხენე ძალების აქტივიზაცია იტალიაში, საფრანგეთში, იაპონიაში, სხვა ქვეყნებში, ლათინური ამერიკის ხალხთა მასების შეუპოვარი ბრძოლა—ასეთია უკანასკნელი დროის მხოლოდ ზოგიერთი ფაქტი, რომლებიც მოწმობენ, რომ ბურჟუაზიის ცდებს — თავი დააღწიონ კრიზისს მშრომელთა ხარჯზე — საკადრის პასუხს სცემენ. ამაში დიდ როლს ასრულებენ პროფკავშირები, რომელთა მებრძოლურობა შესამჩნევად გაიზარდა.

მსხვილი კაპიტალი ხმარობს ყველა საშუალებას — რეფორმისტულ ღონისძიებებსაც, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით საზოგადოებრიობის დამუშავებასაც, პირდაპირ რეპრესიებსაც. რაც უფრო ძლიერი ძვრები ხდება კაპიტალიზმის ბანაკში, მით უფრო უშიშვლდება მას წყლულები და მანკიერებანი, მით უფრო გაფთრებული ხდება ცილისმწამებლური იერიშები სოციალიზმზე, საბჭოთა კავშირზე, სოციალიზმზე მოგონილი სიცრუით ცდილობენ დამალონ, შენიღბონ უღიმღამო კაპიტალისტური სინამდვილე. და როგორც ეს არაერთხელ ყოფილა კრიზისის ვითარებაში, ბურჟუაზია რევოლუციური ძალების აღმავლობას უპირისპირებს რეაქციის ძალების მობილიზაციას. კაპიტალისტური სამყაროს სხვადასხვა რაიონში აქტიურდებიან ნეოფაშისტური ელემენტები.

ყველაზე დრამატული ფორმით მოწმობენ ამას ჩილეს ამბები. მაგრამ კაცობრიობის სინდისი ვერ შეურიგდება ნაციზმის ნაბოლარების ბოროტმოქმედებას. სულ უფრო ფართოდ და მტკიცედ მოითხოვენ ამხანაგ ლუის კორვალანის, ყველა ჩილელი პატრიოტის განთავისუფლებას. ჩვენ გვწამს: თავისუფლების დროშა კვლავ აფრიალდება ჩილეში!

XX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის დამდეგს კიდევ უფრო მეტი ძალით გაისმის ლენინის სიტყვები: „საითაც არ უხდა მიიხედო — ყოველ ნაბიჯზე აწყდები ისეთ ამოცანებს, რომელთა გადაწყვეტა სავსებით შეუძლია კაცობრიობას **დაუყოვნებლივ.** ხელის შემშლელია კაპიტალიზმი“. (ტ. 19, გვ. 459). იგი ხელს არ უშლის მხოლოდ იმათ, ვინც საზოგადოებრივ სიმდიდრეს იტაცებს და მის შემქმნელთა ექსპლოატაციისათვის იყენებს. იგი საფრთხეს უქადის, ლენინის თქმით, თვით ადამიანთა საზოგადოების არსებობის პირობებს.

ლენინი გვაფრთხილებდა, პირველ მსოფლიო ომს შეიძლება ახალი ომების კატასტროფა მოჰყვესო. ოქტომბრის გამარჯვებამ შესაძლებლობა მოგვცა ამ ავბედითი ტენდენციისათვის დაგვეპირისპირებინა პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ძალა და საერთაშორისო პოლიტიკა. დაიწყო უდიდესი ბრძოლა მშვიდობისათვის. ამ ბრძოლას მიზანია არა უბრალოდ მშვიდობა, არა მშვიდობა ყოველ ფასად, არამედ სამართლიანი და დემოკრატიული მშვიდობა, რომელიც საიმედოდ უზრუნველყოფს ხალხთა დამოუკიდებლობასა და ისეთ პირობებს, რომ ხალხები დამოუკიდებლად, გარედან ჩაურევლად განაგებდნენ თავიანთ ბედს. ეს მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ამოცანაა, რომელიც დედამიწის ყველა მცხოვრების ინტერესებს ეხება. და ლენინის სამშობლო ამ ამოცანის გადაწყვეტისათვის ბრძოლის ავანგარდშია.

იგი მშვიდობას იხმარს თავის მძლავრ ეკონომიურ და თავდაცვითს პოტენციალს, პოლიტიკურ გავლენას და ავტორიტეტს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თავის მოკავშირეებთან და მეგობრებთან მჭიდრო კავშირში ისწრაფვის მაქსიმალურად გააფართოოს მშვიდობის დაცვის ინტერნაციონალური ფარგლები, ჩააბას რაც შეიძლება მეტი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ძალები თანამედროვეობის ამ უპირველესი ამოცანის აქტიურად გადაწყვეტის საქმეში.

სკკპ XXIV ყრილობის მიერ შემუშავებული საგარეოპოლიტიკური კურსის განუხრელმა და ენერგიულმა განხორციელებამ უმოკლეს პერიოდში თვალსაჩინო შედეგები მოგვიტანა.

სოციალიზმის სხვა ქვეყნებთან ერთად განხორციელებულმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყეს ვიეტნამელი ხალხის გმირული ბრძოლის ძლეგამოსილ დაგვირგვინებას. დაიწყო მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესი ახლო აღმოსავლეთში. მთელ რიგ უდიდეს კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან საბჭოთა კავშირის მიერ დადებული ხელშეკრულებანი და სხვა შეთანხმებანი ხელს უწყობენ საერთაშორისო ურთიერთობის პრაქტიკაში ძალის გამოყენებაზე უარის თქმის პრინციპის დამკვიდრებას. ამის მეოხებით მნიშვნელოვანწილად განხორციელდა ამოცანები, რომლებიც დასახულია მშვიდობის პროგრამის **პირველ პუნქტში.** მისი **მეორე პუნქტის** შესაბამისად განხორციელდა დიდმნიშვნელოვანი დიპლომატიური აქციები, რომლებმაც დამკვიდრეს ომის შედეგები ევროპაში, უზრუნველყვეს ევროპის სახელმწიფოთა საზღვრების ურღვევობის ფართოდ ცნობა. როგორც მშვიდობის პროგრამის **მესამე** და **მეოთხე პუნქტებით** არის გათვალისწინებული, ჩვენმა ქვეყანამ გამოიჩინა ინიციატივა გამალებული შეიარაღების შესანელებლად. უდიდესი წინგადადგმული ნაბიჯია ამ გზაზე საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმება ატომური ომის თავიდან აცილების შესახებ. პროგრამის **მეხუთე პუნქტის** შესაბამისად საბჭოთა სახელმწიფოს თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს კოლონიური ჩაგვრის დარჩენილი ერებისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. და, ბოლოს, ყველასათვის ცნობილია ეფექტიანი მეცადინეობა მშვიდობის პროგრამის **მეექვსე პუნქტით** გათვალისწინებული ფართო, თანასწორუფლებიანი და ურთიერთხელსაყრელი საერთაშორისო ეკონომიური თანამშრომლობის განვითარებისათვის.

ყოველივე ამის შედეგად შეიქმნა ვითარება, რომელიც ხელს უწყობს ურთიერთული მსოფლიო პრობლემების გადაჭრას მოლაპარაკების გზით. გაკამტვერდა მითი ვითომდა სსრ კავშირიდან მომდინარე ომის საფრთხის შესახებ, ნათელი ხდება თუ რაოდენ უაზრო და ყალბია ანტისაბჭოელთა მოწოდებანი გამალებული შეიარაღების გაძლიერებისათვის. მსოფლიო ომის შემდეგ 30 წლის მანძილზე პირველად ამოისუნთქა შვებით პლანეტის მილიონობით ადამიანმა, იგრძნო ყოველდღიურ ცხოვრებაში ახალი ატმოსფერო, რომელიც შეიქმნა საერთაშორისო დაძაბულობის გაუთავებელი გაძლიერებიდან შეწყვეტებისაკენ შემობრუნების შედეგად. პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გაბედული, გამიზნული მუშაობა მშვიდობის პროგრამის განსახორციელებლად სულ უფრო ღრმად უჩვენებს მილიონობით ადამიანს სოციალისტური წყობილების ჰუმანისტურ ბუნებას; არწმუნებს, რომ მას შეუძლია იხსნას კაცობრიობა ომებისაგან.

საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ქმედითობა ის არის, რომ სსრ კავშირი მშვიდობისათვის მხოლოდ კი არ მოუწოდებს, არამედ იღწვის, რომ ყოველი დიპლომატიური აქცია, თვითეული შეთანხმება განვამტკიცოთ კონკრეტული, ხელშესახები საქმეებით, რომლებიც რეალურად იახლოებენ სამართლიანი მშვიდობის დამკვიდრებას.

ყველანი ხედავენ, რომ ჩვენი საგარეო პოლიტიკა ღრმად თანმიმდევრული და პრინციპულია. იგი ზედიზწევნით, ითვალისწინებს აბა თუ იმ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს და არ განიცდის კონიუნქტურულ ცვლილებებს. მისთვის დამახასიათებელია ნაკისრი ვალდებულებებისადმი ერთგულება და ამიტომ სსრ კავშირს უფლება აქვს ასეთსავე მიდგომას მოელოდეს თავისი პარტნიორებისაგან.

შეხვედრები და მოლაპარაკება, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, პოლიტბიუროს სხვა წევრებს აქვთ ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, იაპონიის, ინდოეთის, არაბული და მრავალი სხვა ქვეყნების ლიდერებთან და სხვა პოლიტიკურ მოღვაწეებთან, თუ შეიძლება ასე ითქვას, საერთაშორისო ურთიერთობის პოზიტიური განვითარების ღერძს წარმოადგენენ და ხელს უწყობენ ვითარების ნორმალიზაციას მსოფლიოში, ნაყოფიერი პოლიტიკური და ეკონომიური თანამშრომლობის გაღრმავებას, რომელიც სულ უფრო კონკრეტულ გამოხატულებას პოულობს.

მოსკოვის ხმას ახლა უდიდესი გულისყურით ეკიდებიან ყველგან. არც ერთ პასუხისმგებელ სახელმწიფო მოღვაწეს არ შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს საბჭოთა კავშირის თანმიმდევრულ მშვიდობისმოყვარულ კურსს. და გაზვიადება არ იქნება, თუ ვიტყვით: სსრ კავშირის საერთაშორისო პრესტიჟი ჯერ არასოდეს არ ყოფილა ასეთი დიდი, მისი გავლენა მსოფლიოს საქმეებში არასოდეს არ ყოფილა ესოდენ მრავალმხრივი და ღრმა, მისი საგარეო პოლიტიკის პატივისცემა და მისდამი ნდობა არასოდეს არ ყოფილა ესოდენ მაღალი.

კომუნისტური პარტია, საბჭოთა სახელმწიფო არ სჯერდებიან მიღწეულს. არც ერთი დღით არ წყვეტენ თავიანთ ისტორიულ ბრძოლას ომის საფრთხის წინააღმდეგ. ამას ემსახურება ახალი გაბედული ინიციატივები, რომლებსაც ჩვენი პარტია იჩენს. ამას ემსახურება ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის დაუცხრომელი მოღვაწეობა, რომელიც ძალ-ღონეს არ იშურებს ამ მიზნისათვის, ლენინის სამშობლოს მოქმედება იწვევს მეგობართა აღტაცებას მთელ მსოფლიოში.

ევროპის ისტორიაში პირველად სცადეს მშვიდობიანი თანაარსებობის კონსტრუქციულ საფუძველზე გადაწყვიტონ ძირეული პოლიტიკური, ეკონომიური, კულტურული პრობლემების მთელი კომპლექსი. უშიშროებისა და თანამშრომლობისადმი მიძღვნილი სრულიად ევროპის თათბირმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. ჩვენ ჯეროვნად ვაფასებთ უკანასკნელ ხანს მის მუშაობაში მიღწეულს და უფლება გვაქვს იმედი ვიქონიოთ, რომ ყველა მონაწილის მაღალი პასუხისმგებლობის შეგნება ხელს შეუწყობს უახლოეს ხანში წარმატებით დამთავრდეს თათბირი უმაღლეს დონეზე, რომელიც უდიდეს მნიშვნელობასა და ავტორიტეტს მიანიჭებს მის გადაწყვეტილებებს.

გადადგმულია, თუმცა პირველი, მაგრამ დამაიმედებელი ნაბიჯები სამხედრო დაძაბულობის შენელების დარგში. ახლა საქმე ეხება იმას, რომ წინ წავიდეთ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოლაპარაკებაში რაკეტულ-ატომური შეიარაღების შეზღუდვის თაობაზე. ამისათვის არის საჭირო წანამძღვრები. ჩვენი პარტიისა და ქვეყნის ხელმძღვანელობა, დარწმუნებულია, რომ, თუ კონსტრუქციულად მივუდგებით და აუცილებლად დავიცავთ თანაბარი უშიშროების პრინციპს, შეგვიძლია მივაღწიოთ პოზიტიურ შედეგებს ვენის მოლაპარაკებაზეც ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების შესახებ. სოციალისტური თანამეგობრობა იმის მომხრეა, რომ ერთდროულად დაიშალოს ნატო და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია, ან როგორც პირველი ნაბიჯი — გაუქმდეს მათი სამხედრო ორგანიზაციები.

სსრ კავშირი კვლავაც ყველაფერს იღონებს, რომ დაიცვას არაბული ქვეყნების კანონიერი ინტერესები, თავისი წვლილი შეიტანოს ახლო აღმოსავლეთის კრიზისის ლიკვიდაციაში, არ დაუშვას ისეთი „მოწესრიგება“, რომელიც საქმით აგრესორის წაქეზება იქნებოდა. ეს ზიანს მიაყენებდა მშვიდობის საქმესაც და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ინტერესებსაც. მაგრამ ასე არ უნდა იყოს და არც იქნება!

ძვრები საერთაშორისო ასპარეზზე უეჭველია. „ცივი ომის“ ნაცვლად მიმდინარეობს დაძაბულობის შენელება — უდიდესი მნიშვნელობის მონაპოვარი, რომელსაც შეუპოვარი ბრძოლა დასჭირდა. მაგრამ არანაკლებ ღონისძიებებს მოითხოვს მომხდარ ცვლილებათა დამკვიდრება, მათი შეუქცევადობის საიმედო გარანტიათა შექმნა. თვითდამშვიდების საფუძველი არა გვაქვს. ხომ ფაქტია, რომ მსოფლიოში, რომელიც ისედაც გადატვირთულია მასობრივი მოსპობის იარაღით, გრძელდება და ძლიერდება კიდეც გამალებული შეიარაღება, იქმნება ახალი სამხედრო ბაზები, რომ ბევრი საშიში საკითხი მოუგვარებელია, რომ სისტემატურად მიმართავენ პროვოკაციულ ანტისაბჭოურ კამპანიებს, რომლებიც არსებითად მიზნად ისახავენ დაძაბულობის შენელების ჩაშლას.

მთელ საერთაშორისო სიტუაციაზე ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს ახლანდელ პეკინელ ლიდერთა ნაციონალ-შოვინისტური, ანტისაბჭოური პოლიტიკა, რომელიც ხელს აძლევს იმპერიალიზმის რეაქციულ ძალებს. ისინი ყოვლად უტიფრად სწამებენ ცილს ლენინის პარტიას და სამშობლოს, საბჭოთა ხალხს. მათი კურსი, რომელიც დაძაბულობის შენელების წინააღმდეგ არის მიმართული და მიზნად ისახავს ძირი გამოუთხაროს მსოფლიო სოციალიზმს, ვნებს ყველა ხალხის ინტერესებს. და მას სულ უფრო მეტად ეწინააღმდეგებიან ყველანი, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობისა და სოციალიზმის საქმე.

ჩვენი პარტია მტკიცედ და გადაჭრით უწევს წინააღმდეგობას საერთაშორისო ვითარების ნორმალიზაციის მტრების გეგმებს, ფხიზლად ადევნებს თვალს მათს ხრიკებს და გამოდის მშვიდობის მონაპოვართა დასაცავად აქტიურობის გაძლიერებისათვის, იღვწის მშვიდობიანი შეტევის ფრონტის გაფართოებისათვის. ამასთანავე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია დაუცხრომლად ზრუნავს და კვლავაც იზრუნებს საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის. თანამედროვე ვითარებაში ეს ჩვენი მშვიდობიანი მშენებლობის აუცილებელი გარანტიაა.

ჩვენს თვალწინ მიმდინარე საერთაშორისო ურთიერთობის სისტემის გარდაქმნა დაკავშირებულია თანამედროვეობის ძირეულ სოციალურ ტენდენციებთან, უწინარეს ყოვლისა — მთავარი რევოლუციური ძალებისა: სოციალიზმის, მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოზიციების განმტკიცებასა და გაღლების ზრდასთან.

ცნობილია, რომ საერთაშორისო ასპარეზზე განსაკუთრებით სერიოზულ და ნაყოფიერ ინიციატივას სოციალისტური ქვეყნები იჩენენ ხოლმე, რომ მსოფლიო საქმეებში სოციალიზმის მზარდი როლი უშუალოდ არის დაკავშირებული მათს მტკიცე ერთიანობასა და შეთანხმებულ პოლიტიკასთან. ამ ურთიერთობაში უპირველესი მნიშვნელობა აქვს მომმე პარტიებისა და სახელმწიფოების ხელმძღვანელთა ყირიმის შეხვედრას, აგრეთვე ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირებს. ახლახან დამთავრებული ვარშავის თათბირის მონაწილეებმა დასახეს დიდმნიშვნელოვანი ამოცანები, რომელთა გადაწყვეტა ახალ წარმატებებს მოგვაპოვებინებს ევროპის მშვიდობიანი ცხოვრების, უშიშროებისა და სოციალური პროგრესის უზრუნველყოფაში. ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის შესახებ, ვიეტნამელი ხალხისადმი, ჩილელი პატრიოტებისადმი, სოლიდარობის შესახებ მიღებულ განცხადებებში გამოთქმულია სოციალისტური თანამეგობრობის კოლექტიური აზრი, რომელიც დაფუძნებულია თანმიმდევრულ ინტერნაციონალიზმსა და მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმისადმი ურყევ ერთგულებაზე.

სოციალისტური თანამეგობრობის განვითარებაში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი კუბაში, რომელიც მომდინარე წლის დამდეგს გაიმართა. საბჭოთა კავშირი მიესალმება კუბის საერთაშორისო პოზიციების განმტკიცებას და მის მიღწევებს სოციალისტურ მშენებლობაში.

(დასასრული მე-4 გვერდზე).

ვაშენოთ სოფლად სწრაფად და კარგად

საქართველოს სს რესპუბლიკაში იყო სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის მინისტრი ს. დ. ხიტროვი, რომელიც მონაწილეობდა საქართველოს სსრ სოფლების გაშენებისა და გარდაქმნის საკითხებისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მუშაობაში.

ს. დ. ხიტროვმა დაათვალიერა რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობის ობიექტები, გაეცნო საწარმოო, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის მიმდინარეობას, ინდუსტრიალიზაციის განვითარებასა და საწარმოო. სამძღვარეთა პერსპექტივებს. ამხ. ს. დ. ხიტროვი იყო გამარჯვებისა და ოჩამჩირის მეფრინველეობის ფაბრიკების, კრწანისის სასამბურო კომბინატისა და სხვა ობიექტების მშენებლობებზე, რომელთა აგება დასახულია მიმდინარე ხუთწლიდში სახალხო-სამეურნეო გეგმით.

მინისტრი ესაუბრა მუშებს, სპეციალისტებს, გამოკითხა მათ შრომისა და დასვენების პირობები, თუ როგორია წარმოების კულტურა, აგრეთვე, როგორ ინერგება მეურნეობის პროგრესული ფორმები და მეთოდები. იგი დაინტერესდა ტექნიკური პროგრესის, სამუშაოთა ორგანიზაციის, მშენებლობათა მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვის საკითხებით.

მან მშენებელთა ყურადღება მიაპყრო იმის, რომ საჭიროა კიდევ უფრო გააუმჯობესონ მშენებლობის ხარისხი და აამაღლონ სამუშაოთა ინდუსტრიალიზაციის დონე. ს. დ. ხიტროვმა ურჩია მშენებლებსა და დამპროექტებლებს მაქსიმალურად გადავიდნენ სასოფლო მშენებლობის საწარმოო ნაგებობათა ბლოკირებასა და სართულიანობის გაზრდაზე მშენებლობისათვის საჭირო მიწის ფართობების შემცირების მიზნით, რაც მეტად მნიშვნელოვანია რესპუბლიკისათვის.

ს. დ. ხიტროვთან ერთად რესპუბლიკის მშენებლობებზე იყვნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. მ. ლაბახუა და საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრი ი. ა. ხარატიშვილი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა საუბარი, რომელშიც მონაწილეობდნენ ს. დ. ხიტროვი, ე. ა. შევარდნაძე, გ. დ. ჯავახიშვილი და ა. ნ. ჩურკინი. საუბრის დროს განიხილეს რესპუბლიკაში სასოფლო მშენებლობისა და მისი ინდუსტრიული ბაზის განვითარების საკითხები.

ს. დ. ხიტროვმა მაღალი შეფასება მისცა რესპუბლიკურ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციას, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლების შემდგომ გაშენებასა და გარდაქმნას. მან აღნიშნა, რომ სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ უკვე დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულების უზრუნველსაყოფად.

(საქინფორმი).

ედვარდ კენედი სსრ კავშირში

22 აპრილს სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის სახელით საუბარი გაუმართეს ამერიკელ სენატორ ედვარდ კენედის, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება.

იმავე დღეს ედვარდ კენედი მოსკოვიდან თბილისს გაემგზავრა.

(საკადესი).

□

ნიდერლანდის მინისტრი მოსკოვში ჩამოვიდა

საბჭოთა მთავრობის მოწვევით 22 აპრილს მოსკოვში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა ნიდერლანდის საგარეო საქმეთა მინისტრი მ. ვან დერ სტული.

ე. კენედი თბილისში

ამერიკელი სენატორი ედვარდ კენედი, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის მოწვევით, 22 აპრილს მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა.

აეროდრომზე ე. კენედის დახვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ი. ბ. აბაშიძე, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი შ. ა. კვატაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა მუდმივი კომისიის თავმჯდომარე ვ. მ. სირაძე, ქალაქის საზოგადოებრივობის წარმომადგენლები.

თბილისში ჩამოსვლის შემდეგ ე. კენედიმ პრესისათვის გააკეთა განცხადება. მე და ჩემი ოჯახის წევრები, განაცხადა მან, დიდი სიამოვნებით ჩამოვედით საქართველოში. მე კარგად ვიცი, რომ ქართველები შრომისმოყვარე და სტუმართმოყვარე ხალხია. ისტორიული ძნელბედობის მიუხედავად, მათ შეინარჩუნეს თავისთავადი კულტურა. იცოდნენ და იციან თავიანთი მიწის კარგი დამუშავება და მისი მამაცურად დაცვა. მე გაგონილი მაქვს XII საუკუნის თქვენი რენესანსის, საქართველოს გენიალური შვილის შოთა რუსთაველის შესახებ, ვიცი, თუ რა წვლილი შეიტანა ქართველმა ხალხმა ზოგადსაკაცობრიო კულტურის საგანძურში.

დღეს დილით ვესაუბრე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს. მან მითხრა, თუ რა არაჩვეულებრივად სტუმართმოყვარე და გულუხვია ქართველი ხალხი. საქართველოს მიწა-წყალზე ჩამოსვლის პირველი წუთებიდანვე ამაში დავრწმუნდი.

იმავე დღეს ე. კენედი ეწვია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს გ. ს. ძოწენიძეს. გაიმართა მეგობრული საუბარი.

საუბარს დაესწრნენ საქართ

ლენინური კურსით — კომუნიზმის აკვანი

(დასასრული)

ამხანაგებო! თავის დროზე საქვეყნოდ გაისმა საბრძოლო მოწოდება, რომელსაც ვ. ი. ლენინმა მხურვალედ დაუჭირა მხარი: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა და ჩაგრულო ხალხებო, შეერთდით!“ განვლილ ათწლეულებში ეს მოწოდება იქცა რეალურ ძალად, რომელიც აერთიანებს სოციალიზმს, მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. საყოველთაოდ არის აღიარებული რომ სსრ კავშირის, სხვა სოციალისტური ქვეყნების დაუხმარებლად და მხარდაუჭერლად შეუძლებელი იქნებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძალების წარმატება ბოლოდროინდელ უმნიშვნელოვანეს ბრძოლებში. ლენინის პარტია მუდამ გაგებითა და მხარდაჭერით ეკიდება ყველას, ვინც ნამდვილად იბრძვის იმპერიალისტური მოძალებისაგან აზია-აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა სრული და საბოლოო ხსნისათვის, მათი სოციალურ-ეკონომიური პროგრესისათვის, მსოფლიო საქმეებში თანასწორუფლებიანი მონაწილეობისათვის. და ვინც ნამდვილად ითვალისწინებს განვითარებადი სახელმწიფოების ეროვნულ ინტერესებს, იმას არ შეიძლება არ ესმოდეს სოციალიზმის სამყაროსთან თანამოქმედებისა და სოლიდარობის საჭირბოროტო მნიშვნელობა, იგი არ შეიძლება არ უარყოფდეს ანტისაბჭოურობასა და ანტისოციალისტურ პოზიციებს, ვინაიდან ისინი გარდუვალად წარმოშობენ ანტიიმპერიალისტურ პოლიტიკას.

თანამედროვეობის ყველაზე გავლენიან პოლიტიკურ ძალად გვევლინება მსოფლიო კომუნისტური მოძრაობა. ლენინის შემდეგ ნახევარი საუკუნის მანძილზე კომუნისტური პარტიების რიცხვი 49-დან 89-მდე გაიზარდა. გაზრდილად გადიდდა მათი შესაძლებლობანი. კომპარტიები, როგორც ყოველთვის, მუშათა კლასის ინტერესებისათვის, ხალხთა ინტერესებისათვის ბრძოლის მოწინავე ხაზზე არიან.

ხუთი წლის წინათ მოსკოვში გამართულ თათბირზე კომუნისტებმა წამოაყენეს ერთიანი ანტიიმპერიალისტური მოქმედების კონსტრუქციული პლატფორმა. დღეს ჩვენ უფლება გვაქვს ვთქვათ: მაშინ დასახული ბევრი ამოცანა გადაწყვეტილია. მარქსისტულ-ლენინური პარტიები დღეს მთავარ ყურადღებას უთმობენ პრობლემებს, რომლებსაც ცვალებადი ვითარება უსახავს მათ. მათი გადაწყვეტა მოითხოვს მოქმედების ერთიანობას, კოლექტიურ ღონისძიებებს მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე. ბევრი მოძმე პარტია, რომლებიც ამით ხელმძღვანელობენ, აყენებს წინადადებებს, რათა კიდევ უფრო გაძლიერდეს კომუნისტური მოძრაობის როლი საზოგადოებრივ განვითარებაში, განმტკიცდეს მისი პოლიტიკური და იდეური შეკავშირება. მოძმე პარტიებთან ერთად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მზად არის ახალი ნაბიჯები გადადგას ამ მიზნების მისაღწევად.

ამხანაგებო! ლენინური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს მთელი საერთაშორისო საქმიანობა — ეს არის მრავალმხრივი, უაღრესად რთული და ძნელი მუშაობა ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის მაქსიმალურად ხელშემწყობი საგარეო პირობების უზრუნველყოფისათვის, მსოფლიო სოციალიზმის განმტკიცებისა და ომების თავიდან აცილებისათვის, განმათავისუფლებელი ბრძოლის ახალი წარმატებებისათვის. და ჩვენ სრული უფლება გვაქვს გავიმეოროთ ლენინის სიტყვები: საბჭოთა ხელისუფლება „კვლავაც მოიმოქმედებს ყოველივეს, რაც კი შეგვიძლია საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის ხელშესაწყობად, იმ გზის უზრუნველსაყოფად და დასაჩქარებლად, რომელსაც კაცობრიობა მიყავს კაპიტალის უღლისა და დაქირავებული მონობისაგან განთავისუფლებისაკენ, სოციალისტური საზოგადოების შექმნისა და ხალხთა შორის მტკიცე, სამართლიანი მშვიდობის დამყარებისაკენ“. (თხზ. ტ. 27, გვ. 229-230).

ჩვენი პარტიის, საბჭოთა ხალხის, კომუნისტური მოძრაობის მსოფლიო-ისტორიული მიღწევები განუყოფელად დაკავშირებულია ლენინიზმთან. მისი ურყევი ერთგულება ჩვენი დიადი საქმის ახალ გამარჯვებათა საწინდარია. ეს არის პარტიის, ცენტრალური კომიტეტის, პოლიტბიუროს, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის პირველი და ყოველდღიური საზრუნავი.

რა მიაჩნიათ კომუნისტებს ლენინიზმის ერთგულებად ჩვენს დროში?

ის, რომ განუხრელად ადგნენ ლენინის მიერ ნაჩვენებ გზას, ლენინურად წყვეტდნენ კომუნიზმის მშენებლობის სამართლიან ამოცანას: ქმნიდნენ მის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, სრულყოფდნენ საზოგადოებრივ ურთიერთობას, ზრდიდნენ ახალ ადამიანს კომუნისტური იდეალების სულისკვეთებით.

ლენინიზმის ერთგულება — ეს არის სოციალისტური თანამეგობრობის შეკავშირება, მის მონაპოვართა ყოველნაირად განმტკიცება და დაცვა.

ლენინიზმის ერთგულება — ეს არის სოციალისტურ მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას შორის ურთიერთობისა და სოლიდარობის შემდგომი განმტკიცება, კომუნისტების, მთელი რევოლუციური ძალების ინტერნაციონალური ერთიანობის განმტკიცება; მისი თანმიმდევრული ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მუშათა კლასის, მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის.

ლენინიზმის ერთგულება — ეს არის განუხრელი ბრძოლა მტკიცე, სამართლიანი და დემოკრატიული მშვიდობისათვის, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა ურთიერთობაში მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების დამკვიდრებისათვის, ხალხთა დამოუკიდებლობისა და უშიშროებისათვის.

ლენინიზმის ერთგულება — ეს არის ლენინური ტიპის პარტიათა ყოველმხრივი განმტკიცება, მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნიზმისათვის ლახვარის ჩაცემა, მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემოქმედებითი განვითარება და მის საფუძველზე სწორი პოლიტიკის შემუშავება.

ამხანაგებო! რაგინდ შორს უნდა წავიდეს კაცობრიობა თავისი კომუნისტური მომავლის დიდებულ შორეთში, გაწმინდოს დედამიწა მჩაგვრელებისა და ომებისაგან, სიცრუისა და ბოროტმოქმედებისაგან, მას მუდამ ეხსომება, რომ კომუნიზმის პირველმკვალავთ სათავეში ედგა ლენინი, რომ მან ჩაუყარა საფუძველი ახალ, ნამდვილად თავისუფალ სამყაროს.

გაუმარჯოს ლენინიზმს! გაუმარჯოს ლენინის საქმის მომავალ მიღწევებს! გაუმარჯოს დიად ლენინურ პარტიას!

თბილისში ჩამოვიდნენ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრიობის წარმომადგენელნი

22 აპრილს თბილისში ჩამოვიდნენ საბჭოთა და ამერიკის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა დარტმუტის მე-8 შეხვედრის მონაწილენი.

დარტმუტის შეხვედრები ეწყობა 1960 წლიდან რიგრიგობით ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სსრ კავშირში. დღემდე გაიმართა შვიდი შეხვედრა, მათგან უკანასკნელი მიმდინარეობდა 1972 წლის დეკემბერში დარტმუტის კოლეჯში (საიდანაც წარმოიშვა ამ შეხვედრების სახელწოდება) ნიუ-ჰემპშირის შტატის ქალაქ ჰანოვერში.

ორი ქვეყნის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა ასეთი შეხვედრების მიზანია განხილვა ფართო წრის საკითხებისა, რომლებიც ეხება დაძაბულობის შენელებასა და მშვიდობის განმტკიცებას, საბჭოთა კავშირ-ამერიკის საქმიანი თანამშრომლობის შემდგომ გაფართოებას. თბილისის შეხვედრაზე განზრახული აქვთ განხილონ დაძაბულობის შენელების პროცესის განვითარების პერსპექტივები.

შეხვედრის მონაწილეთა შორის ამერიკის მხრივ არიან — სენატორი ჰიუ სკოტი, „ჩეზ მანჰატან ბენკის“ გამგეობის თავმჯდომარე დევიდ როქფელერი, ჟურნალების „სატერდეი რევიუს“ და „უორლდ მეგეზინის“ გამომცემელი ნორმან კაზინსი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ამერიკის შეერთებული შტატების ხელშემწყობი ასოციაციის წევრი ჩარლზ იოსტი, „ტაიმ ინკორპორეიტედის“ მთავარი რედაქტორი ჰენლი დონოვანი, ლილი ფონდის ვიცე-პრეზიდენტი ლანდრუმ ბოლინგი, ჰარვარდის უნივერსიტეტის სამეცნიერო და საერთაშორისო პრობლემათა საკვლევი პროგრამების ხელმძღვანელი პოლ მ. დოტი, „ჯენერალ ფუდ კორპორეიშნის“ პრეზიდენტი ჯეიმს ლ. ფერგიუსონი, ბუტლერის უნივერსიტეტის საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი თომას მელოუნი და სხვები.

შეხვედრის მონაწილეთა შორის საბჭოთა კავშირის მხრივ არიან — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, გაზეთ „პრავდის“ პოლიტიკური მიმომხილველი გ. ა. ჟუკოვი, „ნიუ-იორკერ ტაიმსის“ ყოფილი ჟურნალისტი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამერიკის შეერთებული შტატების ინსტიტუტის დირექტორი გ. ა. არბატოვი, „ჩეზ მანჰატან ბენკის“ გამგეობის თავმჯდომარე დევიდ როქფელერი და სხვა საბჭოთა და ამერიკელი მოღვაწეები. იმავე დღეს მუშაობა დაიწყეს დარტმუტის შეხვედრის კომისიებმა.

დისკუსიები მიმდინარეობს საქმიან, კონსტრუქციულ ვითარებაში. (საინფორმაციო).

საქმიან, კონსტრუქციულ ვითარებაში

22 აპრილს საქართველოს დედაქალაქში ჩამოსულ საბჭოთა და ამერიკის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა დარტმუტის მე-8 შეხვედრა.

შეკრებილთ მოესალმა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბ. თ. ლობჟანიძე. დარტმუტის ეს მე-8 შეხვედრა, თქვა მან, მიმდინარეობს ღირსშესანიშნავ დროს, როცა მშვიდობიანი თანაარსებობის დიადი იდეები, რომლებსაც შეიცავს საბჭოთა კავშირის მთელი საგარეო პოლიტიკა, მშვიდობის პროგრამა, რომელიც სკკპ XXIV ყრილობამ წამოაყენა, საფუძველად ედება სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიური წყობილების სახელმწიფოთა ურთიერთობის, მთლიანად საერთაშორისო ურთიერთობის ახალ ეტაპს.

გამოსვლაში ხაზგასმული იყო იმ შეხვედრებისა და მოლაპარაკების მნიშვნელობა, რომელიც გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევსა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონს შორის.

ნება მიბოძეთ, თქვა ბ. თ. ლობჟანიძემ, ერთხელ კიდევ გულთბილად მივესალმო დარტმუტის მე-8 შეხვედრის მონაწილე საბჭოთა და ამერიკელ საზოგადო მოღვაწეებს და გისურვოთ დიდი წარმატებები ეთილშობილური მოღვაწეობაში მთელი მსოფლიოს მშვიდობის საკეთილდღეოდ.

პლენარულ სხდომაზე გამოვიდნენ დარტმუტის შეხვედრის თანათავმჯდომარეები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, გაზეთ „პრავდის“ პოლიტიკური მიმომხილველი გ. ა. ჟუკოვი და ჟურნალ „სატერდეი რევიუს“ და „უორლდ მეგეზინის“ გამომცემელი ნორმან კაზინსი, აგრეთვე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამერიკის შეერთებული შტატების ინსტიტუტის დირექტორი გ. ა. არბატოვი, „ჩეზ მანჰატან ბენკის“ გამგეობის თავმჯდომარე დევიდ როქფელერი და სხვა საბჭოთა და ამერიკელი მოღვაწეები. იმავე დღეს მუშაობა დაიწყეს დარტმუტის შეხვედრის კომისიებმა.

საპირველმაისო საჩუქარი

ტრადიციული, თბილისური...

სულ ამ ცოტა ხნის წინათ რუსთაველის მოედანთან, პროსპექტი ტრანსპორტის მოძრაობისათვის გადაკეტილი იყო. აქ ტრესტ „ინქმშენის“ № 1 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მშენებლები დღეადღამ არ წყვეტდნენ მუშაობას — აშენებდნენ დედაქალაქის კიდევ ერთ სიამაყეს — მიწისქვეშა გადასასვლელს. მშენებლებს თუმცა სამუშაოთა დამთავრება 28 აპრილისათვის ჰქონდათ დაგეგმილი, მაგრამ თავდადებული შრომით საქმე დამქმელ დროზე ადრე დასრულეს. 21 აპრილს გადასასვლელი ავტომანქანებისა და ფეხოსანთა მოძრაობისათვის გზა გაიხსნა.

...რუხი ფერის კურსების გრანიტით მოპირკეთებული კიბეებით დაბლა ჩადიხართ და ძველ თბილისურ „ეჟეჩაში“ მოხვედით, რომლის ორივე მხარეს მაღაზიები ჩამწკრივებულა. თვალს ხიბლავს მუხის პანელებით ნაშენი მაღაზიები, შეკეთდული ჭერი, დღის ხაზოვანი სინათლე შერწყმულია ლამაზ წერტილოვან ელნათურებთან. ყოველივე ეს სმყუდროვეს და სილამაზეს უქმნის მთელ ამ არქიტექტურულ კომპლექსს, რომლის ავტორია რესპუბლიკის დამსახურებული არქიტექტორი ოთ. კალანდარიშვილი. ინჟინერ-კონსტრუქტორები არიან ვ. ლობჟანიძე, რ. ჩიტაეკი და ი. ოვანოვი.

აქ ვნახეთ „ინქმშენის“ № 1 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს ინჟინრები და მუშები — ახლა ისინი უკვე საზეიმოდ იყვნენ გამოწყობილნი, სიამაყით უყურებდნენ, თუ როგორი მოწონებით ათვალიერებდნენ მოქალაქენი მათს ნახელავს.

აქვე შევხვედით არქიტექტორ ოთ. კალანდარიშვილს. მან უპირველეს ყოვლისა ქებით მოიხსენია მშენებლები, აღნიშნა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მხარდაჭერა დედაქალაქის მიწისქვეშა სავალი ნაგებობების ათვისების ორიგინალური პროექტის განხორციელებაში.

გადასასვლელში სავაჭრო ობიექტებიდან ისეთი მაღაზიებია შერჩეული, რომელთაც დიდი დატვირთვით არ უხდებათ მუშაობა — მსურველს შეუძლია შეიძინოს ნაირფერი ყავალები, სუვენირები, პარფიუმერია, ახალი ჟურნალ-გაზეთები, თამბაქოს ნაწარმი, ხოლო თეატრალურ სალაროში — ბილეთები.

ახალი გადასასვლელი კარგი საპირველმაისო საჩუქარია. რუსთაველის მოედანზე ახლა თავისუფლად დაკმარიან მანქანები, აღარც ფეხით მოსიარულეთ უჭირთ ერთი ტროტუარიდან მეორეზე გადასვლა.

ლ. ტატიშვილი.

სურათებზე: მიწისქვეშა გადასასვლელი რუსთაველის მოედანზე; ყავალების მაღაზია მიწისქვეშა გადასასვლელში (ზემოთ მარჯვნივ).

ვლ. გინზბურგის ფოტო.

„კომუნისტის“ ფოსტიდან

● ბათუმი. მანქანათმშენებელი ქარხნის ბიბლიოთეკაში მუდამ ბევრი ხალხია. აქ მუშაობენ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, რიგითი მუშები, რომლებიც დაუსწრებლად სწავლობენ სხვადასხვა ტექნიკურ და უმაღლეს სასწავლებლებში. ისინი ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველები არიან. ქარხნის ბიბლიოთეკის წიგნის ფონდმა ხუთ ათას ცალს გადააჭარბა. ძირითადად ტექნიკური ლიტერატურაა, მაგალითად: „მანქანათმშენებლობა“, „დაზგები და იარაღები“ და სხვ.

ყოველთვიურად ეწყობა ინფორმაციის დღე, რომელზეც გამოდიან ქარხნის ცნობილი სპეციალისტები.

ბ. ჩხაიძე.

● ქობულეთი. მდინარე ჩაქვისწყალი ორად ჰყოფდა სოფელ ნალას. ძველი ხიდი მწყობრიდან გამოვიდა. გაღმელებს სასოფლო საბჭოში მისასვლელად 10 კილომეტრი უნდა შემოვლოთ.

ეს მდგომარეობა ყურად იღეს და მდინარეზე აშენდა კაპიტალური ხიდი, რაც კარგი საჩუქარია სოფლისათვის.

ო. კოტეველიძე.

● ონი. კვაშხეთის სასოფლო კლუბის მუშაკები და კლუბთან არსებული აგიტმხატვრული ბრიგადის წევრები ეწვევნენ მეცხოველეობის ფერმას. მათ აქ გამოუშვეს კედლის გაზეთი „მეცხოველის ხმა“, — მოაწყეს წითელი კუთხე. ბ. ჯაფარიძემ წაიკითხა მოხსენება თემაზე „სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი, ყველაფერი ადამიანისათვის, მისი კეთილდღეობისათვის“.

კლუბის აგიტმხატვრულმა ბრიგადამ (ხელმძღვანელი ც. გოშაძე) მეცხოველეებისათვის გამართა კონცერტი.

ნ. დუშუაშვილი.

პრეტენდენტთა მატჩებზე

ბუენოს აიერესში მსოფლიოს ნიმპიონობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩების მორიგი შეხვედრები.

ლენინგრადში სპასკისა და კარპოვის შეხვედრა გადადო ხუთი საათის დაძაბული ბრძოლის შემდეგ. პეტროსიანისა და კორჩნოის პარტია ოდესაში დამთავრდა პეტროსიანის გამარჯვებით 39-ე სვლაზე. ამრიგად, ანგარიშია 2:1 კორჩნოის სასარგებლოდ.

ფეხბურთი

პენალტებით გაყოფილი ქულები

„დინამო“ (თბილისი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) — 0:0 (პენალტები — 3:3).

21 აპრილი, თბილისი, „ლოკომოტივის“ სტადიონი. მსაჯი გ. ფარფმანი (ეესკი).

„დინამო“ — გაგოშიძე, ძოძუაშვილი, ხურცილავა, ჭელიძე, ხინჩაგაშვილი (მეჯირი), ებრალიძე, მ. მიჩაიძე, ასათიანი, გუციევი (გ. ნოდია), ყიფიანი, წერეთელი.

„ტორპედო“ — ზარაპინი, ტუმკაკოვი, პახომოვი, ბელოუსოვი, ბუტურლაკინი, ხუდიევი, ფილატოვი, იურინი, ფეტისოვი (ნიკოხოვი), ესკოვი, ანრამოვი.

ამ მატჩში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მეკარეებმა — ახალგაზრდა ფეხბურთელებმა გაგოშიძემ და ზარაპინმა. თბილისელმა 2-3 ძნელი ბურთი მოიგერია და გაცილებით დამაჯერებლად მოქმედებდა, ვიდრე წინა შეხვედრაში არმიელების წინააღმდეგ.

ტორპედოელთა კარში ბურთის გატანის კარგი შესაძლებლობანი ჰქონდათ წერეთელს, ხურცილავას, ყიფიანს, ეს უკანასკნელი საუკეთესო იყო მასპინძელთა შორის. ვფიქრობთ, რომ ყიფიანი სწორედ ცენტრალური თავდამსხმელის ადგილზეა განსაკუთრებით ძლიერი.

მატჩის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 0:0. დამატებითმა 11-მეტრიანებმა სერიამ გამარჯვებული ვერ გამოავლინა — 3:3.

ო. ნოზაძე.

შვიდი მატჩი

კვირას ვიმართა „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის კიდევ შვიდი შეხვედრა. აი მათი შედეგები:

„არარატი“ — „ცსკა“ — 3:2.
„დინამო“ (კ.) — „შახტიორი“ — 1:0.
„ზარია“ — „სპარტაკი“ — 0:1.
„კარატი“ — „ზენიტი“ — 2:2.
„შახტიორი“ — „დინამო“ (ბ.) — 0:0.
(პენალტები — 3:3).
„ჩერნომორეცი“ — „დნეპრი“ 2:2.
„ნისტრუ“ — „კარპატი“ — 1:0.

ჭიდაობა

სად არიან ჩვენი ჩემპიონები?

რიგაში დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეთა სარეკორდო რაოდენობა მიიზიდა — სამასამდე ფალავანი.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ბაქოელი ს. ყურბანოვი, ერევნელი ვ. არუთინოვი, მოსკოველები ფ. მუსტაფინი და ა. კაკაკევი, ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი შ. ხისამუტდინოვი (მოსკოვის ოლქი), რიგელი ი. კლინტსონი, ალმა-ათელები ა. ნაზარენკო და ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს, ევროპის ჩემპიონი ვ. რეზანცევი, კიეველები დ. ზადვირნიაკი და ა. კოლჩინსკი.

სამწუხაროდ, ჩემპიონთა შორის ვერ ვხედავთ ვერც ერთ ქართველ ფალავანს. ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ ი. ბერიშვილი და შ. მორჩილაძე, ბრინჯაოს — თ. კიკნაძე.

ᲓᲦᲔᲛᲘᲗ

დღეს, 23 აპრილს დასავლეთ საქართველოს ხანაპირო რაიონებში მოსალოდნელია წვიმა, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 14-19, მთაში 6-11 გრადუსი სითბო. **აღმოსავლეთ საქართველოს** მთიან რაიონებში ხანმოკლე წვიმა და ელვა, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 15-20, მთაში 1-6 გრადუსი სითბო. **თბილისში** ელვა, ხანმოკლე წვიმა, ტემპერატურა 18-20 გრადუსი სითბო.

რამდენიმე სტრიქონით

□ **მძლეოსნობა.** ფრუნზეში გაიმართა გაზეთ „პრავდის“ საკავშირო კრესის ფინალი, რომელშიც გამოვიდა 170 ქალაქის 1.500 სპორტსმენი. ქალთა შორის 2-კილომეტრიან დისტანციაზე გაიმარჯვა კიეველმა თამარ პანგელოვამ, ვაჟთა შორის (8 კმ) — აღმაათელმა ანატოლი ბადრანკოვმა. გოგონებში უძლიერესი იყო მაშა კულჩუნოვა (ფრუნზე), ჭაბუკებში — კონსტანტინე ლებედევი (კიევი). გუნდურ ჩათვლაში მეთორმეტედ გაიმარჯვა რუსეთის ფედერაციის გუნდმა.

□ **მხატვრული ტანვარჯიში.** რიგაში დამთავრდა ხუთი ქვეყნის ტრადიციული ტურნირი. პირველობა მოიპოვა 22 წლის ასტრახანელმა ალა ზასუხინამ. მეორე იყო მისი თანაგუნდელი ელენე ლეონტიევა, მესამე — კიეველი ირინა დერიუგინა. ამ უკანასკნელს მიეკუთვნა ტიტული „მის გრაციას“.

□ **ფარიკაობა.** იტალიის ქალთა გუნდმა მინსკში გამართულ ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე მოიპოვა „ბელორუსიის თასი“. მეორე ადგილზეა გფრ-ის გუნდი, მესამეზე — რუმინეთის, მეოთხეზე — ბელორუსიისა.

□ **ველოსპორტი.** საბჭოთა სპორტსმენებმა ორმაგი გამარჯვება მოიპოვეს მაროკოს რბოლაში. პირად შეჯიბრებაში საუკეთესო იყო რიგელი ანდრის ია-კობსონი. საბჭოთა ნაკრებმა გაიმარჯვა 9 ეტაპზე 12-დან.

□ **ჰიდკობა.** სოფიაში დან კოლოვის მემორიალზე თავისუფალ ჭიდაობაში ოქროს მედალი მოიპოვა ბაქოელმა მამედ იბრაგიმოვმა (69 კმ). მოსკოველ ლეონიდ ბოგატირიოვსა (57 კგ) და კიეველ ბორის ბიგაევს (100 კგ მეტი) გადაეცათ ვერცხლის მედლები. თბილისელმა რომან მარსაგიშვილმა (82 კგ) და მახაჩყალელმა მაგომედკან არაცილოვმა ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრეს. შეჯიბრებაში გამოდიოდა 16 ქვეყნის 170 სპორტსმენი.

□ **ფეხბურთი.** მსოფლიოს ჩემპიონატის დებიუტანტმა — ჰაიტის გუნდმა ბრაზილიის დედაქალაქში ამხანაგური მატჩი გამართა მსოფლიოს ჩემპიონთან. ანგარიშით 4:0 გაიმარჯვეს მასპინძლებმა. გოლები გაიტანეს პაულო ცეზარმა, რეგელინომ, მარინიომ და ედუმ. მატჩს ესწრებოდა 35 ათასი მაყურებელი.

რა ვნახოთ, რა ვოცადოთ

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

23 აპრილი

პირველი პროგრამით

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — სკოლების დასახმარებლად — მათემატიკა (VI კლასელთათვის. დამოკიდებულება სამკუთხედის გეომეტრიულ და კუთხეებს შორის), 11.00 — საკავშირო კომპაკავშირის XVII ყრილობის გახსნის ტრანსლაცია კრემლის ყრილობათა სასახლიდან, 13.00 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 16.35 — უმაღლეს სასწავლებლში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექციები ქართულ ენაში, 17.20 ბიოლოგიაში, 18.05 — განცხადებები, 18.10 — კინონარკვევი, 18.30 — მოსწავლეთათვის. „სახელოვანი მამულიშვილი“ — რ. ერისთავი, 19.05 — „საკავშირო კომკავშირის XVII ყრილობის დელეგატები“, 19.20 — მიმართვის საპასუხოდ — „მეცნიერების აქტუალური პრობლემები“, 19.45 — „საკავშირო კომკავშირის XVII ყრილობაზე“ (მოსკოვიდან), 19.55 — „მუსიკის მოყვარულთათვის“ 20.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.00— საკავშირო კომკავშირის XVII ყრილობის გახსნის რეპორტაჟი (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.00 — ფერადი ტელევიზია. საორტული ზეიმი, მიძღვნილი საკავშირო კომკავშირის XVII ყრილობის გახსნისადმი. ტრანსლაცია ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონიდან.

მეორე პროგრამით

18.05 — სკოლების დასახმარებლად — რუსული ენა, 18.35 — კინონარკვევი, 18.45 — სკოლების დასახმარებლად — ინგლისური ენა, 19.15 — კინონარკვევი, 19.25—სტუდენტთა დასახმარებლად—ლექციები თეორიულ მექანიკაში,20.25 — მხაზველობით გეომეტრიაში, 21.25 — განცხადებები, 21.30 სატელევიზიო ფილმი.

თეატრები

23 აპრილი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **სუბარალდეო დასკვნა;** რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი — **ხიდი;** კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ტაკიმასხარა;** ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **შვიდნი ძმანი გურჯაანელნი.**

რედაქტორი
დ. მგელაძეშვილი.

საქართველოს კპ ხობის რაიკომი და ხობის რაიონული საბჭოს აღმასკომი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პარტიის ხობის რაიკომის წევრი, რაიონული საბჭოს დეპუტატი, ახალი ბიბულის ჩიას საბჭოთა მეურნეობის დირექტორი

ალფეჯ ელიზბარის-ძე ლატარია

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

მსოფლიო დღეს

მეგობროობის მიტინგი

ნიუ-იორკი, 22 აპრილი. (საკადესი). სოციალისტური ქვეყნების ხალხებთან მეგობრობის მკაფიო დემონსტრაციად გადაიქცა ამერიკის პროგრესული საზოგადოებრიობის საზეიმო მიტინგი, რომელიც ნიუ-იორკში გაიმართა ჟურნალ „ნიუ-უორლდ რევიუს“ ინიციატივით. მიტინგში მონაწილეობდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ცნობილი საზოგადო მოღვაწეები, კომუნისტები, კოსკავშირელები, პროფკავშირული აქტივისტები.

შეხვედრა გახსნა ჟურნალ „ნიუ უორლდ რევიუს“ რედაქტორმა ჯესიკა სმიტმა. დარბაზში მყოფთა სახელით მან მადლობა გადაუხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლებს მათი საქმიანობისათვის, რომელიც მიზნად ისახავს მთელი მსოფლიოს ხალხთა მეგობრობისა და მშვიდობის განმტკიცებას.

ჩილე: ნეოფაშისტური დიქტატურა

ბონი. 22 აპრილი. (საკადესი). დასავლეთგერმანულმა უურნალმა „შტერნმა“ გამოაქვეყნა ჰენრიხ ენეკეს სტატია, რომელიც ამხილებს სამხედრო ხუნტის მხეცობას ჩილეში. სტატიის ავტორი წერს: შეუძლებელია ჩილეში არშენშნოთ ავტომატებიანი ხალხი. ისინი ყველგან გეგხვდებიან.

ავტომატები მუდამ საბრძოლოდ აქვთ გამზადებული, მუდამ დატენილი. ვინც შეეცდება გადაიღოს ავტომატიანი კაცის ფოტოსურათი, საფრთხეში ჩაგდებს თავის სიცოცხლეს. ასეთი ცდისათვის სიცოცხლე გამოასალმეს 19 წლის იტალიელი ტურისტი ფრანჩესკა დ, ალესანდრი მატე. საზღვარ კურორტ ვინია-დელ-მარში მისმა მეგობარმა მანქანიდან მიუშვირა ფოტოკამერა საზღვაო ქვეითი ჯარის ჯარისკაცს. მან დაუყოვნებლივ ესროლა, ამასთან არა მანქანის თვლებს, არამედ მძღოლს. ტყვია ზურგში მოხვდა ფრანჩესკა დ, ალესანდრის, და რამდენიმე საათში იგი გარდაცვალა.

მთავრობის კოალიციის, რომელიმე ყოფილი პარტიის მირტო წევრობა და ასეთი პარტიისადმი თანაგრძნობაც კი შეიძლება გახდეს დაპატიმრების მიზეზი. 50.000-მდე ქალი და მამაკაცი — მემარცხენე პარტიების, პროფკავშირების, სტუდენტთა ორგანიზაციების ხელმძღვანელი შემადგენლობა და თანამგრძნობნი ინტელიგენტებს შორის — დაამწყვდიეს ხალხით სავსე საპატიმროებსა და ახლად შექმნილ საკონცენტრაციო ბანაკებში.

ხუნტის მიერ შექმნილი რეჟიმი, ხაზს უსვამს ჰენრიხ ენეკი, ნეოფაშისტურ დიქტატურას წარმოადგენს.

უკანასკნელ საკითხ

ისრაელის პროვოკაციები

□ ბეიროუთი, 22 აპრილი. (საკადესი). დაძაბული ვითარებაა ლიბანის სამხრეთში, სადაც ისრაელის მხედრიონი პროვოკაციებს განაგრძობს. გუშინ სამი საათის განმავლობაში უშენდნენ არტილერიის ცეცხლს სოფელ შებაას მიდამოებს.

ამავე დროს ისრაელის პატრული შებაას რაიონიდან შეიჭრა ლიბანის ტერიტორიაზე და სროლა აუტეხა მსუბუქ ავტომანქანას, რომელშიც ხუთი მგზავრი იყო.

სხდომა ლაიფციგში

□ ბერლინი, 22 აპრილი. (საკადესი). ლაიფციგში გაიმართა ეკონომიური ურთიერთდახმარების ხაბჭოს ქიმიური მრეწველობის მუდმივი კომისიის მორიგი სხდომა.

კომისიამ მოიწონა ღონისძიებანი, რომ გაფართოვდეს მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ქიმიური პროდუქტების საწარმოო ხიმძლავრენი, აღიპურვოს ეკონომიური ურთიერთდახმარების ხაბჭოს წევრი ქვეყნებისა და იუგოსლავიის ქიმიური და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა დიდმწარმოებლური მოწყობლობით.

ᲢᲔᲚᲔᲢᲐᲘᲞᲘᲡ ᲚᲔᲜᲢᲘᲓᲐᲜ...

კომუნისტი 380008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებს—99-93-03, 99-03-09,